


# საბჭოთა კავშირის



№ 7

ყოველპერიოდი უშრნალი

№ 7

რედაქცია და კანტორა

ტფილისი, პლენანოვის პროს. სასტუმრო „5 თ ე“ ოთახი № 102.

ფ ა ს ი

1.500.000 მანეთი  
ამიერ-კავკას. ბონებთ

რედაქცია და კანტორა

ლიაა ყოველ დღე ვარდა კვირა უქმისა  
დილის 8 წ. შუაღ. 1 წ.-ღ.

## ახალი წელი

თავდება 1923 წელი... ისტორიის არქივში გადაღის კიდევ ერთი წელი...

რა მოვითვანა 1923 წელმა? უნებლიეთ იბადება ეს კითხვა. და პასუხიც მზადაა.

ამ წელმა საერთოდ დიდი განძი მოგვითვანა. ესაა ახალი გზა, რომელზედაც დაიგაზნა 12 ათასი მუშა, ყოფილი წევრები მენშევიკური პარტიისა, და 5 ათასი ახალგაზრდა მარქსისტი.

ამ წელმა მოგვითვანა ჩვენი გაერთიანება კომპარტიასთან.

ამ წელს მოხდა თეოლოგიკიდაცია ანტიისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიების.

ამ წელს მოხდა ღრმა გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ არა მარტო მუშებში, არამედ ინტელიგენციაშიაც.

საბჭოთა ხელისუფლების დიდმა მუშაობამ, შემოქმედებამ, წარმატებამ სახალხო მეურნეობის დარგში, გამაგრებამ პოლიტიკურად და ეკონომიურად შექმნა ახალი ფსიქოლოგია მასაში.

ესაა საბჭოთა ხელისუფლების მიღება. მისი შესისხლხორცება...

მართალია, საერთაშორისო რევოლიუცია ჯერ კიდევ არ სჩანს, მაგრამ რუსეთის რევოლიუცია კი თანდათან მაგრდება და საბჭოთა ხელისუფლება ისე მაგარი, ისე მტკიცე არ ყოფილა არასოდეს, როგორც 1923 წელს იყო.

რას მოვითვანა 1924 წელი? ჩვენი სურვილია მსოფლიო რევოლიუცია. იამიექტიური პირობები ხელს. უწყობენ ამ სურვილის განხორციელებას.

მუშათა მასის სიღრმეში ისმის საშინელი გრგვინვა.

ციცხლის მფრქვევი მთა საცაა ამოხეთქს. მაგრამ ესეც რომ არ მოხდეს 1924 წელს, საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა ნაინც მაგარი და ურყევეია.

1924 წელმა უნდა განამტკიცოს, უფრო უნდა გაამაგროს მუშა-გლეხთა მთავრობა.

ამ წელს კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს მასაში საბჭოთა ხელისუფლების გამაგრების საქმეობა.

ანტიისაბჭოთა პარტიების სრული და ფაქტიური ლიკვიდაცია ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში აუტელბლად უნდა დამთავრდეს ამ წელს.

ამის საძირკველი უკვე ჩაყრილია 1923 წლ. მიერ.

რომ უფრო მაგარი, უფრო მტკიცე და ურყევი იყოს ჩვენი მდგომარეობა, ამისათვის საჭიროა ჩვენი წარმოებების მეტი გაცხოველება, მეტი ინტენსივობა, დაუღალაფი შრომა საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში და გადაწყვეტა ერთი უდიდესი საკითხის — „მაკრატლის“.

ამას შევქვებთ. ამის შეძლებს ჩვენი მუშათა კლასი.

მან გადალახა ათასი ფრონტი, ათასი ეკოლიანი გზა და რევოლიუციის წითელი დროშა უნებლად მოიტანა აქამდე.

ის შეძლებს ბრძოლის და გამარჯვებას მოიპოვებს ეკონომიურ ფრონტზედაც.

ამ იმედით ვდგამთ ფეხს 1924 წელში. და ვუსურვებთ რევოლიუციონურ მუშათა კლასს გამარჯვებას და დასახულ გეგმის განხორციელებას მომავალ წელში.

## + სეით დევდარიანის წერილი

მე ვნახე ზოგიერთი საბულები. — ჩვენი პარტიის წევრებთან აღმოჩენილი მიწერ-მოწერა, — რომლებმაც ნათლათ დამიმტკიცეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან მეტროლი საქართველოს სოციალ-დემოკრატია სდგას მარქსისტულ ხაზისაგან, საერთაშორისო სოციალიზმის იდენტოლოგიისაგან გადახრის რეალურ საფრთხის წინაშე.

ეს აიხსნება, რასაკვირველია, არა მხოლოდ მით, რომ არაილევალურ მუშაობის პირობები შეუძლებლათ ხდიან სრულ კოლექცილობას და თანხმობას მუშაობას. ახსნა უნდა ვეძიოთ სხვა, უფრო ღრმა მიზეზებში. 1921 წლის 10 აპრილის რეზოლიუცია, რომელიც მიღებული იყო ჩვენი პარტიის მიერ, როგორც საფუძველი თავის ტაქტიკის, აშენებულია ორ პრინციპზე

— საბჭოთა სისტემასთან თანამშრომლობის, შეთანხმების პრინციპზე და ამ სისტემისადმი მეორე სისტემის (ეკონომიკის) — „დემოკრატით სოციალიზმისაკენ“ დაპირდაპირებაზე.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს შინაგანი წინააღმდეგობა თანდათან გადალახული იქნება საქმიან ურთიერთობის ნიადაგზე, დაპირდაპირების პრინციპი გაუქმდება, რადგან ბოლოს და ბოლოს, იღვის მზრით, საბჭოთა სისტემა — იგივე დემოკრატიაა. მაგრამ ხელისუფლებამ არ გაუწია ანგარიში ამგვარ თანდათანობით შეცვლებას; 10 აპრილის რეზოლიუციას იგი მოეპყრა ცალმხრივად და ჩვენს მომართ თავის პოლიტიკის გამოსახველ წერტილად აიჩინა ამ რეზოლიუციის ერთი პრინციპი — დაპირდაპირების პრინციპი. ჩვენი პარტია იძულებული გახდა არაილევალურ მდგომარეობაში ჩაედგა:



ყო. ურთიერთ დამოკიდებულება გახდა მტრული და შეუღებელი.

ამიტომაც, ჩვენი პარტიულ მასების შეგნებაში თანდათან უფრო მკაფიოთ ჩამოყალიბდა იდეები, რომლებიც დამალული იყო ფორმულაში „დემოკრატიით სოციალიზმისაკენ“— იდეები ძალაუფლებისათვის ბრძოლისა, როგორც ერთად-ერთი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან. ნამდვილათ კი, ეს იდეია არა თუ არ იძლევა რაიმე გამოსავალს, არამედ აყენებს პარტიას ისეთ წინააღმდეგობაში ობიექტიურ შესაძლებლობებთან, რომელიც განწირავს მას ან თავისი შეუღებულ განცდათა უწყალო ბრძოლაზე, ან ორიენტაციაზე მარჯვნივ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიას არასოდეს არ მოსვლია აზრათ ასეთი ორიენტაცია. კერძოდ, პარტიის იდეური ბელადი ნოე ჟორდანიას თავის წერილებში სახლავარებითიდან უკანასკნელ წლებში არა ერთხელ აღნიშნავდა საშიშროებას, რომ რუსეთის მიმართგენე ორგანიზაციებს შეუძლია ისარგებლონ საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის გართულებით საქართველოს დასაყრდენით. ეს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის და პარტიულ კონფერენციების დადგენილებებში ყოველთვის გარკვეულად და ერთსულოვნად იყო დამტკიცებული საერთაშორისო რეაქციის ძალებთან კოალიციის უშუალო ან არაპირდაპირი შესაძლებლობა.

მაგრამ ამა თუ იმ ტაქტიკურ გეზის წარმატებით განხორციელება არ არის დამოკიდებული პარტიის ცალკე, თუნდაც ძლიერ გავლენიან ხელმძღვანელთა ან პარტიულ ორგანოების დადგენილებებზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ობიექტიურ პირობებს და საჭიროა სრული ანგარიში გაუყოთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია ძალა-უფლებისათვის ბრძოლაში ვერ დაცავდა შემარჯვენე ძალებისაგან დამოუკიდებელ პოზიციას.

საჭიროა ვაღიაროთ, რომ 2-ე და ამსტრედამის პროფკავშირთა ინტერნაციონალების ორგანიზაციებში სასტიკად დამარცხდნენ საქართველოს საკითხში. საქართველოს დასაცავათ, — და სხვაგვარათ ეს შეუძლებელიც იყო, — მით გამოქონდათ მხოლოდ პლატონიურ სურვილებსა და თანაგრძობის გამოხატულებას რევოლუციების, და რამდენათაც ძალა-უფლებისათვის ბრძოლა გულისხმობს რეალურ ძალისაღმდეგ ასეთივე რეალურ ძალის დაპირდაპირებას, ამდენათვე ჩვენი პარტიული წრეების აზრი და ნებისყოფა აუცილებლათ დაქანდება მარჯვნივ და შემდეგ კი ჩვენს განცხადებებს ინტერვენციის და ყოველგვარ ინტერპერების წინააღმდეგ მიეცემა მხოლოდ არა დამაკმაყოფილებელ ოფიციალურ ფრანკოლოგიის ხასიათი.

ვინც ფხიზლათ დაუვიწყრდება უკანასკნელ სამი წლის ისტორიას და მიივლის თანამედროვე სინამდვილეს, ის დარწმუნდება, რომ ევრედ-წოდებული „სამშუალო ძალა“ არ იტყუებებს საერთაშორისო მასშტაბითაც. თვით უკლიერეს მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის — გერმანიის სოც.-დემოკრატიას, როგორც უხედავთ, არ ძალუქს გაატაროს სახელ-

მწიფო აღმშენებლობის საკითხებში თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკა.

მით უფრო განუზარტოვებელია ასეთი პოლიტიკა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისთვის. საქმე იმაში კი არ არის, რომ საქართველოში იგი უკლიერესი პარტიაა მასზე მარჯვნივ მდგომ პარტიათა შორის, არამედ იმაში, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ ს.-დემოკრატიულ სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს. იგი უუქველად ჩავარდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ან ასეთ სახელმწიფოთა ჯგუფის ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენის ქვეშ. და მაშინ, — გვინდა არ გვინდა, საქართველო გადაიქცევა საერთაშორისო რეაქციის ერთ-ერთ დასაყრდენ წერტილად. შეიძლება ეს შეეფერებოდეს კიდევ „ობივტულ“-თა მასების სტიკიურ სულიერ განწყობილებას; გვინც გინდათ, ოღონდ ბოლშევიკები მოგვაშორეთო“, მაგრამ ჩვენი პარტია ვერ დაქვეითდება ასეთ სულისკვეთებად და ვერ შეიწყნარებს, რომ საქართველო ჩავარდეს რუსეთის „ობივტულებს“ მდგომარეობაში, რომლებიც მუხლს იდრეკენ დენიკინის ძალთა წინაშე, ხოლო ამ ძალთა ნამდვილ ფიზიონომიის გაცნობის შემდეგ იმავეს სწადიოდენ ბოლშევიკების მიმართ.

შემშარტება კონკრეტულია — და ძალთა იმ ჰიდილში, რომელიც ხდება საერთაშორისო აპარატზე, ჩვენი ფორმულა — „დემოკრატიაში სოციალიზმისაკენ“, უსათუოდ აღწევდა კონკრეტულ-რეაქციონურ შინაარსით. ამიტომ ჩვენმა პარტიამ უსათუოდ უარი უნდა სთქვას პრინციპალურად ხელისუფლებისათვის ბრძოლის იდეაზე და ამასთან შეფარდებით შეეცლილი უნდა იქნეს 10 აპრილს მიღებული რევოლუციის აღნიშნული ფორმულა, ხოლო პარტიულ ტაქტიკას საფუძვლად უნდა დაედოს ამავე რევოლუციის მეორე პრინციპი, — საბჭოთა თანამშრომლობის შეგუების პრინციპი.

საბჭოთა წესწყობილებაში არის ორი ტენდენცია. ერთის მხრივ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე ფართოვდება კაპიტალის გავლენის სფერო, ამასთან დაკავშირებით ფეხს იკიდებს ინტერესთა წინააღმდეგობა კაპიტალს და შრომის შორის; მეორე მხრით, საბჭოთა ხელისუფლების ზედა ფენებში, პროფესიონალურ კავშირებში, კომუნისტურ პარტიაში ისმება საკითხი უპარტიო მუშათა და გლეხთა მასებთან დაახლოების შესახებ, იქმნება ახალი ორგანიზაციული ფორმები ამ მიმართულებით, ისახება გზები პრო-

ლეტარიატის დიქტატურის ბაზის გაფართოებისათვის.

ბრძოლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის სახედათო გადახრასთან და მისწრაფება ფართო უპარტიო მასებთან დაახლოებისაკენ, პარტიის დიქტატურის კლასის დიქტატურად გადაქცევის ცდა იქნება იმდენად უფრო ნაყოფიერი, რამდენადაც მმართველი პარტიისათვის არ იქნება საგრძნობი ხელისუფლების საწინააღმდეგო საფრთხე.

ჩვენ უნდა დავდგეთ ყოველგვარი პარტიული თავმოყვარეობის გარეშე, ჩვენ უნდა შევივინოთ ეს აზრი და ამაზე უნდა ავაგოთ ჩვენი მომავალი ურთიერთობა მმართველ პარტიასთან, ვაწარმოოთ საღი კრიტიკა და მიზნად უნდა ვისახავდეთ არსებული წესწყობილების არა დამხობას და შერყევას, არამედ მის გაუმჯობესებას და განმტკიცებას. საბჭოთა ხელისუფლების გზით პროლეტარიატის დიქტატურის ბაზის გაფართოებისაკენ, პროლეტარულ დემოკრატიზმისაკენ, საწარმოო ძალთა განვითარებისა და სოციალისტურ რევოლუციისათვის მატერიალურ პირობების მომზადებისაკენ — აი როგორი უნდა იყოს ჩვენი გზა და ამ გზაზე ჩვენ სასესებით მხარი უნდა დაუჭიროთ მმართველ პარტიას.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი გულისხმობს მის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას. ამ საკითხებში საბჭოთა ხელისუფლების ვაკრიტიკების დროს მე არასოდეს არ ვამაობდი და არც შემეძლო მითქვა, რომ ძალა-უფლების ჩვენს ხელში გადმოსვლისას, შეიქმნება საუკეთესო პირობები ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობისათვის. პირიქით, ხელისუფლების ყოველგვარი შეცვლა მხოლოდ გააუარესებს ამ პირობებს, ის გამოიწვევს რუსეთის ტერიტორიაზე ახალი სამოქალაქო ომების პერიოდს. საქართველო ჩაებმება ამ ომებში და ეს კი მიგვიყვანს საწარმოო ძალების კიდევ უფრო მეტ დაღეპამდე.

თავის სამეურნეო და კულტურულ განვითარების ინტერესთა მიხედვით, საქართველომ უნდა გამოიყენოს ყველა ის შესაძლებლობანი, რომლებიც მოცემულია საერთო საკავშირო საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში, მან მხარი უნდა დაუჭიროს მმართველ პარტიას ეკონომიური ნაციონალიზაციის პრინციპების გატარებაში, ნაციონალური კულტურის საფუძვლების განმტკიცებაში და იმ მისწრაფებაში, რათა ახალმა ბურჟუაზიულმა რუსეთმა ვერ შესძლოს საქართველოს გამოყენება ექსპლოატაციის ობიექტად.

სებით დევდარიანი.

### 1923 წლის პოლიტიკური მიმოხილვა.

1923 წელი გადაეშვა ისტორიის არქივში. საერთოდ მიღებულია, რომ ყოველ ახალ წლისათვის ერთგვარ ჯამს უყვებიან წარსულ წელს და აღნიშნავენ საყურადღებო მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მიმავალ წელში.

ჩვენ აქ არ მოვიყვანთ ციფრებს, არც ამა თუ იმ მოვლენის დეტალებს, ამისთვის სრულებით არ გვიწყობს ხელს ჩვენი პატარა ყოველკვირეული ჟურნალი.

ჩვენ გვსურს მოკლედ, ძალიან მოკლედ, ზოგადად შემოვხაზოთ წარსული წლის უმთავრესი მომენტები.

მაშ დავიწყოთ:

\* \*

ჩვენ მიმოხილვას ვიწყებთ ინვლისიდან, ვინაიდან დღეს ის არის ტონის მიმცემი და სულის ჩამდგმელი ანტანტისა. ანტანტა კი ისეთი მოვლენაა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში,



რომ ძნელი იმისათვის გვერდის ახვევა.

ინგლისი კაპიტალიზმის და პარლამენტარიზმის ტიპური ქვეყანაა. ინგლისის ამა თუ იმ პოლიტიკას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მასშტაბით. აი ამ პარლამენტარიზმის დღეა ქვეყანაში ჩვენ ვიხილეთ წარსულ წელს მთავრობების მეტად სწორი ცეცხლი. ჯერ იყო და ლიბერალიზმი—ნაციონალ-ლიბერალური პარტიის მემარჯვენე ნაწილის წარმომადგენელი, გამოდიოდა მსოფლიო პოლიტიკის ტონის მიმცემად და ინგლისის ცხოვრების ჩარხს წაღმა უტყულებდა, ლიბერალიზმი საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობაში ლიბერალურ ტაქტიკას ადგა და ნაწილობრივ თითქმის მომხრე იყო საბჭოთა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენისა.

მაგრამ გაიმართა ინგლისის პოლიტიკურ პარტიათა შორის ბრძოლა და მსოფლიო გიგანტი ლიბერალიზმი, რომელიც დირიჟიზმისა და იმპერიალისტთა ხროვას, როგორც ინგლისში, ისე სხვაგანაც, დევნა.

მისი ადგილი დაიჭირა კონსერვატორების წარმომადგენელმა ბონარ-ლოუმ, რომელმაც თავისი პრემიერობის დროს თავი შეიკავებინა ლორდ-კერზონის ტუტუტური ნოტიო საბჭოთა რუსეთისადმი.

ვის არ ახსოვს კერზონის მაშინდელი თავხედობა, იმ ხანათ კერზონი და ბონარ-ლოუ რუსეთის მიმართ სომარად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ თვით ინგლისის მუშათა პარტიამ მაკდონალდის შეთავაზობით სასტიკი პროტესტი განაცხადა რუსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი გალავნების გამო, ხოლო რუსეთის და საერთოდ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის და გლეხობის სიმტკიცემ ხელი ააღებინა კერზონის საომარი პოლიტიკისათვის.

ბონარ ლოუს პოლიტიკა თითქმის იგივე იყო, რაც ლიბერალიზმი.

ბონარ ლოუმ მიიღო შეგებულება და შემდეგ ის არ დაბრუნებია პრემიერობას, ის გარდაიცვალა.

მისი ადგილი დაიჭირა ბალდუინმა. ბალდუინი ზომიერი კონსერვატორია.

ბალდუინის დროს ინგლისში მოხდა უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც ფრიად კარგი შედეგები მოგვცა. ამ არჩევნებში სასტიკად დამარცხდა კონსერვატიული პარტია და ძალიან გამარჯვებული დარჩა მუშათა პარტია.

აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ლიბერალიზმის გადადგომის შემდეგ ინგლისი ვეღარ ბატონობს ევროპაში და პუანკარე—ომი თავისუფლად დათარგმნოს „სმელოთზე“. გერმანიასთან ურთიერთობა, რურის ოკუპაცია და სხვა პოლიტიკა ისე სწარმოებს საფრანგეთის მხრივ, რომ თითქოს ბალდუინი და ინგლისი სულ არ არსებობდეს. ამ მხრივ საერთაშორისო პოლიტიკის გეზისათვის, ვიმეორებთ, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ იქნება ინგლისის მთავრობა.

ინგლისში ახალი წლის დამდევისათვის არსებობს ორი შესაძლებლობა: 1) კოალიცია ზომიერ—კონსერვატორების და ლიბერალისტების და 2) მთავრობა მუშათა პარტიისა. პირველ შემთხვევაში ინგლისი კვლავ დაუბრუნდება ლიბერალიზმის პოლიტიკას და შეიძლება

თვით ლიბერალიზმიც. შინაურ ფრონტზე ეს იქნება პოლიტიკა მუშათა კლასისათვის თავზე ხელის „მომსისა“, საფარეო ფრონტზე კი—ცდა „გენეო“-ს აღდგენისა, ე. ი. მორიგების პოლიტიკა.

მაგრამ „გენეო“, ჰაავა, ლოზანა დამარცხდა... დამარცხდა თვით ლიბერალიზმი თავისი „მომარგებელი“ პოლიტიკით. რატომ მოხდა ეს?—იმიტომ, რომ ომის შემდეგ და მის ნიადაგზე წარმოიშვა დიდი აგრესიული და სახმელთა-რეაქციონური ძალა—საფრანგეთი, რომელიც ხელს უშლის ევროპაში წონისწორების დამყარებას. იმიტომ, რომ საერთაშორისო კაპიტალი მიიღტვის ომის მიერ მოყვებულ ზარალი აზღვევის პრობლემატიკას და მის ხარჯზედ აოადინოს დანგრეული სახლხო მესურნობა. ეს კი კაპიტალს მიაქანებებს მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევაზე. ამ შეტევამ არ იცის ლიბერალიზმის „შეიკვებით“ პოლიტიკა.

გენეოს და ლიბერალიზმის დამარცხების შემდეგ ეს ორი ძალა—საფრანგეთის იმპერიალიზმი და კაპიტალის შეტევა შინაურ ფრონტზე კი არ შეიკვებულა, პირიქით, კიდევ უფრო გამეორდა და გამძვავდა. ამიტომ ლიბერალური პარტია, თუნდაც რომ ჩაუდგეს ქვეყანას სათავეში კონსერვატორებთან ერთად, სულერთია, მაინც ვერ იხსნის ქვეყანას და ვერ გამოიყვანს მას იხიდან.

შეუძლია თუ არა ეს მუშათა პარტიას?—აშკარაა, რომ ინგლისის მუშათა პარტია უკეთ გააგრძელებს თავს შექმნილ მდგომარეობას, ვინემ სხვა ვინემ, გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა.

ინგლისის მუშათა პარტია სხვა რომ არ იყოს, თუ ის მთავრობაში მოექცევა, იცნობს საბჭოთა კავშირს იურდიულად და აღადგენს მასთან ნორმალურ ურთიერთობას. ეს კი ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გამოთვლებას. ინგლისი მიიღებს ნედლეულს, რუსეთი კი ფაბრიკა-ქარხნების წარმოებს და სამუშაო იარაღებს.

გარდა ამისა ინგლისის მუშათა პარტია კავშირის ცნობა კისერს მოსტეხს საფრანგეთის მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა ქვეყნებისადმი. მაშინ საფრანგეთი იძულებული იქნება თავისი პოლიტიკა საბჭოთა რესპუბლიკების სასარგებლოდ შესცვალოს.

\*\*\*

წარსულ წელში საფრანგეთი განაგრძობდა და ამტკიცებდა თავის სახმელთა-რეაქციონურ პოლიტიკას, როგორც გერმანიის, ისე საბჭოთა კავშირების მიმართ.

ამ შემთხვევაში საყურადღებოა საფრანგეთის იმპერიალიზმის რურის ოლქში შეჭრა და მისი ოკუპაციის მოხდენა. დაუზღურებულმა გერმანიამ ვერ შესძლო რეპარაციების გადახდა. საფრანგეთმა მიიღო მისი სრული დამორჩილება და რურის ოლქი დაიჭირა. ინგლისის მთავრობა სიჩუმით შეხვდა ამ ვერაგულ აქტს. ინგლისის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ-კერზონი იმ ხანებში ლოზანას კონფერენციაზე იყო ოსმალეთთან მოლაპარაკებაში გართული და რომ საფრანგეთს ხელი არ შეეშალა ოსმალეთის და

საერთოდ „აღმოსავლეთის“ საკითხის მოწყობაში, ინგლისის მთავრობამ უფრო მოიყრუა და საფრანგეთის პრემიერი—პუანკარე—ომი თავის ნებზე მიუშვა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესები მოითხოვდა გერმანიისათვის მხარის დაჭერას საფრანგეთის წინააღმდეგ, რადგანაც საფრანგეთი ინგლისის პირველობაში ედავებოდა ევროპაში.

რურის ოკუპაცია გერმანიის ხალხმა ჯერ არ ნახული პასიური წინააღმდეგობა გაუწია. პუანკარეს ოკუპაციის ხარჯები მეტი უჯდებოდა, ვინემ რურიდან მიღებული ნადავლი ღირდა.

მაგრამ ეს იყო მანამ, სანამ პასიური წინააღმდეგობა შეწყდებოდა. გერმანიის მთავრობამ პასიური წინააღმდეგობა შესწყვიტა, ის წაიღო კაპიტალიზმის გზით და პუანკარეს სთხოვა ოკუპაციის მოხსნა.

მაგრამ პუანკარე განაგრძობდა ოკუპაციას. ის არ დაეკავთილა პასიური წინააღმდეგობის მოხსნით. გერმანიის გაძლიერების აჩრდილი მას მოსვენებას არ აძლევდა. ამასობაში გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდებოდა და მოხდა დიდი ცვლილებები, რომლის შესახებ ქვევით ვილაპარაკებთ.

და გერმანიის უკანასკნელმა მთავრობამ უკანასკნელ ხანებში კვლავ მიმართა საფრანგეთის ნოტიო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. პუანკარე ჯერ უიღობდა, მაგრამ შემდეგ დასთანხმდა მოლაპარაკების დაწყებას. აშკარაა, რომ პუანკარე იმეორებდა ინგლისის არჩევნებში მუშათა პარტიის გამარჯვებამ და კონსერვატორების დამარცხებამ. მუშათა პარტია საფრანგეთის მიმართ აიღებს მტკიცე კურსს, ამის შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში მაკდონალდმა, ინგლისის მომავალმა პრემიერმა უკვე გააკეთა განცხადება, რომ ინგლისის მთავრობა მოითხოვს საფრანგეთისაგან თავისი მოვალეობის შესრულებას. შეიძლება პუანკარე შეაფიქრებინა ამ არჩევნების შედეგმა იმიტომაც, რომ 1924 წლის დანაწილება საფრანგეთშიც უნდა მოხდეს არჩევნები და კონსერვატორების ვეღა ეწყვევა ალბათ ნაციონალური ბლოკს, რომლის წარმომადგენელია პუანკარე—ასეა თუ ისე, ინგლისის არჩევნებმა უკვე გამოიღო ერთგვარი ნაყოფი და პუანკარე გასტეხა. ის გასტეხს სხვებსაც.

როგორი იყო საფრანგეთის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან?—პასუხი ერთია—მტრული. საფრანგეთის მთელი თავისი არსებით სძულს სოციალისტური რუსეთი, ის ელოდა რუსეთის დამხობას „შინაური“ მდგომარეობით ფინანსური კრახის და ეკონომიური რღვევის საშუალებით. აგრეთვე პირველ ხანებში მას მზათ ყავდა ყოველ შემთხვევისათვის პოლონეთი, მხოლოდ შემდეგ პოლონეთზე გულად გაუცრუვდა და მისი მოვალეობა ჩემოსლოვაკიას დააკისრა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა.

უკანასკნელ ხანებში საფრანგეთსაც და განსაკუთრებით მის ფინანსურ-ეკონომიურ წრეებს ეტყობოდა საბჭოთა კავშირის ცნობისაკენ სწრაფვა. ამას წინეთ საფრანგეთის ფინანსისტების და ეკონომისტების ყრილობებში პირდაპირ მოითხოვა საბჭოთა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის აღკვეთა.







# საახალწლო მილოცვები

ძველი — ახალ წელის საზღვართან.

ძველი წელი გადაბრუნდა ჩემად:  
საცოდავმა ველარ შესძლო გავლა.  
მოქრევენა რალაც ლანდი უმაღ,  
გაიბრძოლა. იგი ვადიკვალა.  
ისტორიას ჩააბარა ტვირთი —  
გადასახა თავის ყოფნას ჯვარი.  
მომავალი მოდის როგორც ზვირთი,  
მოდის როგორც საქმიანი მგზავრი.  
შევეგებოთ სანდო სტუმარს ტაშით.  
კეთილ იყოს მობრძანება მისი!  
ახმაურდეს ფეხის ცემა რაშის,  
გავლამაზდეთ ყველამ ვით მისი.  
შუღამაზე ალარ არის შიში,  
დაღონება აწი არ იქნება.  
როგორც ტყეია, რწმენა სულ წინ მიჰქრის,  
და იშლება გზაში უკვდავება...

### ალექსანდრე ფარნიევს.

დღეგრძეობის ბაზარი,  
ნაწილია ტვილისის.  
იქ გინდოდა აღდგენა  
28 მაისის.  
მაგრამ კოტე ცინცაძეს  
შენგან ეს არ იამა  
და მეტეხის ციხისკენ  
მყისვე შეგატრიალა.  
28 აგვისტომ  
მოგცა გადაფასება.  
დღეს დადისარ ტვილისში  
როგორც სულ სხვა არსება.  
ფრანსუა და სეთის  
გამოსტაცე დიდება —  
მომავალი იცოდე  
კიდევ მეტსა გაბრძება.

### კომოთე შენგელიას.

პარტიაში ცნობილი ხარ,  
როგორც ძველი მუშა.  
მაგრამ 20-ში კიკაბიძემ  
საქმე ჩაგიფუშა.  
21-ში დაგიკირეს —  
(ალარ მოგასვენეს)  
23-ში, ციხის შემდეგ,  
ფიქრი არ გასვენეს.  
მოიგონე, როგორც იქნა,  
ბიურო და კრება —  
გზაში, სახლში, ბრმას და მართალს  
დაუწყე ფერება.  
და ამ გეგმით ააჯანყე  
მთელი დასავლეთი —

\* \*

წარსულ წელს საბჭოთა რუსეთის ახლო მე-  
ზობელი პოლონეთიც ნერვიულობდა, არც ის  
იყო მოსვენებული. იქაც სწარმოებდა მთავ-

და გაისმა ყველგან ხმები:  
კომოთეა ღმერთი.

### „ძველ მუშა“-ს.

კარგი წერილებს სწერ,  
გეფიციები სინდისს.  
როგორც მუშას, მუდამ  
ერთი აზრი გივლის —  
ზამთრის შემდეგ, მგონი,  
გადიიტან ივლისს.

### გიორგი ვარდოიანს.

წინად „მოამბე“-ს რედაქტორობდი,  
ახლა „სიმართლე“-ს ემსახურები.  
ქეშმარტებას თუ არ ვაღუხევე,  
რალას დაგაკლებს ღამის ტურები.

### არჩილ რუხაძეს.

თავმჯდომარე ხარ ბიუროს.  
გეზს აძლევ ახალ ცხოვრებას —  
სიკვდილის შემდეგ უსათუოდ,  
მიიღებ ცაში ცხოვნებას:

### თედო ლლონტს.

დღეს აქ ზიხარ, ხვალ სხვაგან;  
დასეირნობ ნებაზე.  
და ამ გვარი ჯირითით  
ფიქრობ უკვდავებაზე.  
25 აგვისტო,  
რალაც არ მოგეწონა  
და „ტრიბუნა“-ს ფურცლებზე  
იწყე ცრემლვა და თოვა.  
და ჩვენ ვამბობთ: ოდესმე  
თუ კი დაგვიძინება,  
შენი გული ბუღეში  
მაიმც აღარ დადგება.

### ყ. ეროვნულ-დემოკრატებს.

„ათასად კაცი დაფასდა,  
ათიათასად ზრდილობა.  
თუ კაცი კაცად არ ვარგა,  
კულია გვარიშვილობა“ —  
აწ ვის მივანდოთ, არ ვიცით,  
მამულის დაკვა, ან მღვდლობა.

### გაზ. „ქართული სიტყვა“-ს

ორი ერთად გესტუმრა,  
მაინც არ გაქვს საშველი  
დაპირება კი იყო —  
ვერ ვიხილეთ ნაშენი.

გრიგორი და ვანტანგი  
საცოდავად იღლება —  
დანარჩენი მწერლები  
შორით გვარსიყება.

### ურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს.

სამი წელიწადი  
უქმად ვაატარე.  
დღეს გამოჩნდი, როგორც  
დაკარგული მთვარე,  
გაუმარჯოს იოსებს,  
შენს ძალას და ღონეს!  
სურათებით, ძია,  
თუ არ დაგვაღონებ.

### სახალხო თეატრს.

30 წლის გახდი,  
დეკემბერის ცხრაში.  
იუბილე ვაგიმართეს,  
აკიყვანეს ცაში.  
წარსული გაქვს სათაყვანო,  
მომავალი დიდი!  
დღე, იყოს ეს ზემი  
შენი გზა და ხიდი.

### კოტე მარჯანიშვილს.

დღეს ქება, ხვალ ქება,  
ზეგ ქება, სულ ქება!  
არ ვეძებ, კოტეჯან,  
გამიჩნდეს ანთება —  
ოლონდ შენში სცენის  
ცეცხლი ნუ გაქრება.

### აკაკი ფაღვას.

რუსთაველის თეატრი —  
ინტერვიუ მულან.  
მუშაობის შემდეგ,  
კარგი არის გულა.  
კოტას რომ გადაკრავ  
თავს არ იგრძნობ ცულათ.

### რუსთაველის პროსპექტს.

ბევრი ვარეწარ პირები  
შენს გულზე დაყილობენ.  
არ მოსწონთ შენი ელფერი  
სულ სხვა ამინდზე გალობენ.  
მათ ნუ დაინდობ გეთაყვა,  
აუწვი ზურგის კანები,  
რომ მოიშორო თავიდან  
უსაქმო ჰორიკანები.

### ქანგელი ბზიკი.

მსხვერპლი ამ დევნისა, ამ მხრივ დიდ სიმბე-  
ცეს ჰქონდა ადგილი იაპონიაში. მხეცურად  
რამოდენიმე ათეული პროფკავშირის წევრიც  
მოჰკლეს. სახარელი ამბები მოდიოდა წარ-  
სულ წელს იაპონიიდან.

რობის ხშირი ცელა. ის ვაფაციცებით ელოდა  
მონებრებულ დროს, რომ საბჭოთა რუსეთი-  
სათვის მახვილი ჩაეცა, მაგრამ ასეთი „მობერ-  
ხებული“ დრო არ დაუდგა და ბოლოს საბჭო-  
თა რუსეთი იურიდიულადაც იცნო. პოლო-  
ნეთმა გაუსწრო სხვა ქვეყნებს. პოლონეთის  
შინაური მდგომარეობა კატასტროფიულია.  
გაფაციცები, უმუშევრობა, მარკის კურსის სა-  
ოცარი დაქემა, პოლიტიკური კრიზისი, ეკო-

ნომიური კრიზისი, აი რა ახასიათებს პოლო-  
ნეთს.

\* \*

1923 წ. მიწურულში თითქმის ყველა ქვე-  
ყნების დღის წესრიგში სდგას საბჭოთა  
რუსეთის ცნობის საკითხი. იტალია მზა  
დაა იცნოს. ინგლისში ლიბერალური პარტია  
ამ მიმართულებით დიდ კამპანიას აწარმოებს,  
საფრანგეთის ფინანსიური წრეები და ვაჭარა



მრეწველები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას, შეეცა, ნორვეგია, დანია იწყებენ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას. ამერკაშიც პრეზიდენტი კულიჯი ალაპარაკდა რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. მთელი რიგი სენატორები მოითხოვენ რუსეთის ცნობას. წინამდებელი მხოლოდ იუზი, ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. ისიც გატყუდება ალბათ. 1924 წელი უნდა გახდეს საბჭოთა ქვეყნების თურთულად ცნობის წელიად.

\* \*

ერთად ერთი ქვეყანა, სადაც მთავრობა მტკიცედ იყო და არ შეცვლილა, ეს რუსეთი იყო. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური მდგომარეობა 1923 წელში საგრძობლად განმტკიცდა საგარეო ფრონტზე. მას ყველა სახელმწიფო უწყვეს სათანადო ანგარიშს და დღეს თუ ხვალ იძულებული იქნება იცნოს ის თურთულიად.

შინაურ ფრონტზეც დიდი მიღწევები ჰქონდა. დაიშალა სერიოზული ანტისაბჭოთა პარტიები. რუსეთში ესერების. საქართველოში სოც.-დემოკრატიული პარტიის აქტიური ნაწილი, 12 ათასი კაცი შესდგა საბჭოთა პლატფორმაზე. კომპარტიასთან მივიდა აგრეთვე 9 ათასი ახალგაზრდა მარქსისტის და შემოატყვნენ სოციალისტ-დემოკრატიული პარტია. დაიშალა ეროვნული დემოკრატიული პარტია, სომხეთში—დახაკელების პარტია და 1923 წელში საძირკველი ჩაეყარა რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლიკვიდაციის საქმეს, რომელიც 1924 წელში უნდა დასრულდეს. საბჭოთა კავშირისთვის 1923 წ. იყო ეკონომიურ და კულტურული აღორძინების წელი. ამ წელს აშკარა შეიქნა ყველასათვის, რომ „მაკრატლის“ პირები ერთხანეთს შორადებოდნენ და მთელი რიგი ღონისძიებანი იქნა მიღებული მათი დასახლოებულად. „მაკრატლის“ პრობლემა საბოლოოდ 1924 წელმა უნდა გადასჭრას.

\* \*

დასკვნა ასეთია: ევროპაში გაფიცვები, მთავრობათა ხშირი ცვლა, მერყეობა, მიწის ქვეშ გუგუნა—რევოლუციის წინამორბედი. ეკონომიურად—დაშლა, რღვევა. ინგლისში—მარცხნივ გადახრა, გერმანიაში „ნელი“ კონტრ-რევოლუციის ბეტვეა გრძელდება, იტალიაში ფაშისმის სრული ვაკოტრება. ბულგარეთში რეაქცია და ასე.

საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ფრონტზე —სიმტკიცე, კულტურულ-ეკონომიურ ფრონტზე აღმშენებლობა, აღორძინება, თანდათან ფეხზე დადგომა. ევროპის სახელმწიფოთა მის წინაშე ქედს იხრან. სურთ იცნონ, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანობენ. პოლონეთმა გაბედა და იცნო. ანტი-საბჭოთა პარტიები გატყუდნენ: თვითლიკვიდაცია მოახდინეს. საბჭოთა აღმშენებლობას და შემოქმედებას გზა ხსნილი აქვს.

აი როგორი პერსპექტივებით თენდება 1924 წელი.

## მეტი ყურადღება.

ჩვენი სალიკვიდაციო ყრილობის დღეებში ვილაკამ სთქვა:

— ეს მოძრაობა არ ჩამოუვარდება თავისი მნიშვნელობით თვით ოქტომბრის რევოლუციისა.

მართალია, ოქტომბრის რევოლუცია ისე დიდი ღ ღრმა მნიშვნელობისა არის, რომ ასეთ მოვლენებს მხოლოდ საუკუნეებში აქვს ადგილი, და მასთან შედარება 25—30 აგვისტოში მომხდარ ამბებისა შეუძლებელია, მაგრამ სალიკვიდაციო ყრილობაც მეტად დიდი ფაქტი იყო და არის ჩვენს ცხოვრებაში.

საქართველო მენშევიზმის აკვანი იყო. მას შემდეგ, რაც ჩვენში მესამე დასი ჩაისახა, არ ყოფილა ისეთი მომენტი, რომ მენშევიზმის ან მის ლიდერების პერსონალურ გავლენის ქვეშ არ ყოფილიყოს არა თუ მუშათა კლასი, არამედ მშრომელი გლეხკაცობაც.

ჟორდანი, ჯიბლაძე და ბევერი სხვა, რომლებიც შემდეგ მენშევიკურ ფრთას მიემხრნენ, მესამე დასის ჩასახვის ხანაში და შემდეგაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მუშებში და გლეხებში.

1904—1905 წლების შემდეგ, როცა სოც. დემ. პარტიაში თავი იჩინა განხეთქილება, თითქმის მთელი მასა მენშევიზმს ემხრობოდა, მენშევიზმს უქერდა მხარს.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბოლშევიკები და მენშევიკები ერთ პარტიაში ვიყავით, პარტიულ მასასს ვაყავდა უმთავრესად მენშევიკები.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება 1917 წლის რევოლუციის შემდეგაც.

მხოლოდ მაშინ შეიკრა მუშათა კლასის ნდობა და თვით პარტიის ქვედა ფენებშიაც დაიბადა იქვი ამ მიმართულებისადმი, როცა ეს პარტია მოექცა სათავეში სახელმწიფოს მართვა-გამეგობას.

მინა ამჟამად, რელიეფურად გამოაშკარავდა ამ პარტიის ანტი-ბოლშევიკური საქმიანობა. მიუხედავად ამისა მასსა მანც ინერციით მისდევდა მას.

მაგრამ დგება დრო, როცა თვით პარტიის რიგებშიც შეიკრა, როცა პარტიის ხაზში ექვი ეპარება თვით პარტიულ მასას და მოითხოვენ მის გადათვლიერებას.

და აი მთელი ეს მასა დგება კომინტერნის დროშის ქვეშ, იღებს კომპარტიის გზას და მტკიცედ დგება ამ გზაზე. რას ნიშნავს ეს?

ჩვენს ცხოვრებაში ეს მთელი ეპოქაა, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა.

17 ათასი წევრი მენშევიკური პარტიის და ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციის რწმუნდება ძველი მიმართულების უფარგისობაში, ანებებს მას თავს და დგება ახალ გზაზე.

მან ხაზი გადაუსვა მის ძველ მოღვაწეობას და ამაგრებს დღეს იმ გზას, რომელსაც ათეულ წლების განმავლობაში ებრძოდა.

საწიუხაროდ, ბევრი ვერ აფასებს ამ მოვლენას სათანადოდ.

ვერ აფასებს სათანადოდ ბევრი, როგორც თვით ყოფილ მენშევიკებისაგან, აგრეთვე კომუნისტურ პარტიაშიც.

ძალიან ბევრი ამხანაგი ამ ფაქტს ზერელეთ უტყვობს.—თითქო არაფერი ასეთი არ მომხდარიყოს.

მაგრამ თუ გვინდა, რომ ეს დიდი ისტორიული მოვლენა სათანადოდ იქნეს გამოყენებული; თუ გვინდა, რომ ამ ფაქტმა საჭირო ნაყოფი მოიტანოს, მას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ამ 17 ათას კაცს უნდა მოვლა, გამოყენება, ჩამა პოლიტიკურ მუშაობაში.

ამ მხრით კომუნისტური პარტია მოვალეა უდიდესი ყურადღება მიაქციოს ამ მასას?

ამ ახალ გზაზე დამდგარ მასას უნდა მიეცეს საშუალება ამ გზაზე სიარულის, ამ ახალ გზაზე მუშაობის, თავისი საქმის გამოჩენის, კომპარტიასთან რევოლუციის გზაზე შედუღების.

25-30 აგვისტოს შემდეგ ჩვენში რევოლუციონურმა მოძრაობამ ფეხი შესდგა ახალ ფაზისში.

თუ წინეთ რევოლუციის გზაზე კომპარტიას ეცილებოდა მენშევიკური პარტია, უშლიდა ხელს კომპარტიას საბჭოთა აღმშენებლობაში, დღეს სახელმწიფო მმართველობა განუყოფლად ეკუთვნის კომპარტიას და არც ერთი პარტია, მათ შორის ოდესღაც ძლიერი მენშევიკური პარტიაც კი, არ გამოდის მის მტრად. პირიქით, მენშევიკური პარტია, როგორც პარტია, იშლება, და მისი წევრები ირანებთან კომინტერნის დროშის ქვეშ.

ამ გაერმოებას უნდა გაეწიოს დიდი ანგარიში.

ვისგან შესდგება ის მასსა, რომელიც დადგა კომინტერნის გზაზე?

95 პროცენტი აქ არიან მუშები, ძველი რევოლუციონერები, რომლებსაც უზრგზე ჰქიდათ 1905 წლის რევოლუცია, ჰერ ქვეშ მუშაობა, ბრძოლა თვითმპყრობელობასთან იარაღით ხელში, ციხეები, კატორღები, შორეული ციხიბირი...

აი ვინ შეუერთდა კომპარტიის გზას! ეს ხალხი რევოლუციონერია სულით, გულით, მთელი თავისი არსებით.

ათეული წლებით ისინი ჩაქსოვილნი არიან რევოლუციაში და იქიდან მათი ამოგლეჯა შეუძლებელი საქმეა.

ამიტომ კომპარტიას დღეს დიდი მოვალეობა აქვს კისერზე, რომ ეს მეტროძლი ხალხი გამოიყენოს რევოლუციისათვის, დარაზმოს რევოლუციის გზაზე და მისცეს მათ რევოლუციონური მუშაობის გეგმა.

სრულიად ბუნებრივია, რომ ეს მეტროძლი მასსა თხოვლობს ფართე გზას.

და კომუნისტურმა პარტიამ უნდა უხელმძღვანელოს მას ამ ფართე გზაზე.

ეს მასსა უნდა აქტიურად ჩაეხმას საბჭოთა აღმშენებლობაში.

ამ მასის დიდი კულტურული და პოლიტიკური ღირება სათანადოდ და მიზანშეწონილად უნდა იქნეს გამოყენებული.

აი დღეს ერთი დაკვრითი ამოცანათაგანი.



# ს. ს. ს. რ. კავშირის იური- დიული სწოებისათვის.

დღეშემდგომად გეგნობა, რომ პოლონეთის მთავრობას საბჭოთა კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლისათვის ვარშავში გადაუღწია ნოტა, რომელშიაც ის სცნობს იურიდიულად სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებს კავშირის და მზათ არის დაიჭიროს მის მთავრობასთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა.

ამ რიგათ ხანგრძლივი ჯიუტობისა და უარის შემდეგ პოლონეთი მოტყდა.

ის იძულებული შეიქნა წასულიყო ამ ნაბიჯზე, ვინაიდან სხვა გამოსავალი უკვე აღარ ჰქონდა. ის ითხოვს ჩვენ რესპუბლიკებთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ მას ჩვენ ძალიან უყვარვართ, პირიქით, ჩვენი მუშური რესპუბლიკების არსებობა და განვითარება ლახვარს სცემს არა მარტო პოლონეთის ბურჟუაზიულ მთავრობის გულს, არამედ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებსაც და საზოგადოთ. მთელი ქვეყნის ბურჟუაზიასაც, ის წავიდა ამ ნაბიჯზე მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე აღარ შესწევს ძალად იარაღის ჩხარუნის, მისმა ბატონებმა უარით გამოისტუმრა კარებიდან და პოლონეთსაც რალა დარჩენია თუ არა კეთილმეგობრული განწყობილების დამყარება ჩვენთან, მიუხედავად საშინელი სიძულვილისა.

რამ იძუელა პოლონეთი წასულიყო ამ ნაბიჯზე? დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პოლონეთი გაფაციცებით ემზადებოდა ჩვენზე შემოსატყუათ.

ჩვენი რესპუბლიკების მშრომელი მასხას ალბათ ჯერ კიდევ კარგათ ახსოვს ის გეგმები, რომელსაც პოლონეთის მესვეურები სთავაზობდნენ ევროპის კაპიტალისტებს ჩვენს დასაპყრობად.

აღსანიშნავია ის, რომ განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ჰქონდა დათმობილი.

ასე, მაგალითად, ვარშავის ერთ გაზეთში პოლონეთის „მოღვაწე“ ურჩევდა ინგლისს დაეკავებია საქართველო, ფახი შეეღდა იქ, რათა, ერთის მხრით ბაზისი შეექნა ახლო აღმოსავლეთში მოქმედებისათვის და მეორე მხრით ხელში ჩაეგდო ბაქოს ნავთი.

ამასთან, როგორც სჩვევია მაღალი, ჰუმანიტური მოსახრებაც იყო დართული:

„საქართველოს განთავისუფლება“.

რა თქმა უნდა, პოლონეთი მთავარი აქტიური ძალა იქნებოდა ჩვენს „განმათავისუფლებელ“ ომში

ინგლისიც, როგორც დანტერესებული მხარე, მონაწილეობას მიიღებდა და ამ რიგათ ჩვენი „განთავისუფლების“ საქმე მოწყობილი იყო, რომ ერთ მცირე გარემოებას არ შეეშალა ხელი.

საქმე იმაშია, რომ პოლონეთი ასეთი დიდი ისტორიული მისიის „მსრულებლისათვის“ ითხოვდა ინგლისისაგან ერთ მილიარდ ნასეკაროქროს მარკას.

ხოლო ინგლისმა უარით გამოისტუმრა და ამ რიგათ გეგმა ჩაიშალა.

პოლონეთი ავრე იოლათ იმედს არ დაჰკარგავდა. ის კიდევ განავრძობდა ცდას და ახალ-ახალ გეგმების ჩინებას.

ის კიდევ განავრძობდა თავის ტერიტორიაზე ბანდიტური რაზმების ორგანიზაციას და ჯარების მობილიზაციას, ე. ი. მომავალ ომისათვის მზადებას არ შესწყევტდა, მაგრამ უკანასკნელ არჩევნებში ინგლისში კონსერვატორების დამარცხებამ, მუშათა კლასის და წვრილი ბურჟუაზიის მიერ მთავრობის ავრეციული პოლიტიკის უარყოფამ, ყოველგვარი იმედები გაუტრუა პოლონეთს და ის თვისი გაღვიძებული იმპერიალისტური მადით პირში თით გამოვლებული დარჩა.

რა თქმა უნდა, მას იმპერიალისტური მიზნებისათვის ევროპის მუშათა კლასი არიდერს მისცემს.

არაფერს მისცემს, მით უმეტეს, რომ ეს იმპერიალისტური ზრახვანი, მსოფლიოში ერთად ერთ რევოლუციონურ მუშურ სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული. პირიქით, პოლონეთის საბუთი ჰქონდა ეფექტა, რომ ეაქტიურ ცნობის შემდეგ, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი იურიდიულათაც ცნობილ იქნება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მიერ და ამ რიგათ მის დასამხობათ ბრძოლისათვის ფულს აღარავინ მისცემდა.

და იმ მან არჩია ისევ დასწრება. სხვაზე უწინ მან აღიარა ჩვენი კავშირის იურიდიული კანონიერება. ისევ მეგობრული განწყობილება არჩია ჩვენთან მტრობას.

ეს იმიტომ, რომ ჩვენთან კავშირი, ეკონომიური ურთიერთობა დღეს პოლონეთისათვის მეტი სასარგებლოა, ვინემ დასავლეთთან.

ეს იმიტომ, რომ ჩვენგან დღეს ის სარგებლობას ნახავს და მხოლოდ ამ მიზნით ის თანახმაა ჩვენთან ურთიერთობისა.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოლონეთმა საბოლოოთ ხელი აიღო ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაზე.

მოხერხებული მომენტი თუ იხილა, ის ისევ შემოესევა ჩვენ საზღვრებს და შეეცდება ზიანი მოგვაყენოს, დააუძღუროს, დასცეს მუშურ გლეხური მთავრობა: მშრომელთა სახელმწიფოებს ძირი გამოუთხაროს.

ამიტომ ჩვენ საზღვრებზე გვემართებს მეტის მეტი თვალყურით და სიფიზღე. მაგრამ დღევანდელი ევროპის ვითარება არ იძლევა საბუთებს ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში რომელიმე დიდი სახელმწიფო მხარს დაუჭერს პოლონეთის ავანტიურას, უამისოთ კი პოლონეთი ევრას იზამს.

პირიქით, ჩვენ გვაქვს საბუთები ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში ჩვენი იურიდიული აღიარებაც თან მოყვება ფაქტიურ აღიარებას მთელი ქვეყნის სახელმწიფოთა მიერ.

მსოფლიო დიდი ომის შემდეგ საკმაო დიდმა ხანმა განვლო და მეომარ სახელმწიფოთა ეკონომიური წონასწორობის დამყარება კი არ მოხერხდა. ეს შეუძლებელია საზოგადოთ, ვინაიდან კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა მოსკამა თავის დრო, ის „ავთ არის“ და მისი გამომრთელება მხოლოდ სიკვდილს შეუძლია, მაგრამ შედარებით წონასწორობის აღდგენა მინიც შეუძლებელი შეიქნა რუსეთის გარეშე.

ამაში თან და თან რწმუნდებიან, და ყველაზე მეტად მტრულად ვანწყობილი სახელმწიფო ჩვენს წინააღმდეგ, საფრანგეთიც კი იწყებს ჩვენთან საფაქრო ურთიერთობას. რასაკვირველია, ეს ფაქტიურად ცნობაა ჩვენი რესპუბლიკებისა.

თითქმის ყველა სახელმწიფოებში არის ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლები და დაწყებულია ეკონომიური ურთიერთობის აღდგენისათვის მუშაობა.

უსათუოდ ფაქტიურ ცნობას იურიდიულიც მოყვება.

ამას ევროპის საზოგადოებრივი აზრის მარცხნივ გადახრაც საკმაოთ ასაბუთებს.

და ასეთ პირობებში, რა განსაკვირია, რომ პოლონეთიც ჩვენთან მტრობას ჩვენთან მეგობრობა ამჯობინა.

მას უკვე გამოცალა ეფექტეშ ჩვენ წინააღმდეგ მტრობის ნიადაგი.

ის შეურიგდა ჩვენს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ჩვენს მოვრენებაზე ტანში ქრუნატელი მოხდის.

და ეს გზა, რომელზედაც ეხლა პოლონეთი შესდგა, იქნება გზა ყველა სახელმწიფოებისა.

ადრე თუ გვიან, თუ რა ჯამა უნდა ისინი არ შესცვალა მუშურ-გლეხურმა მთავრობებმა, თანამედროვე სახელმწიფოებზე გამოვიყვდიან ჩვენ ხელს და ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობას არჩევენ—მტრობას. ამ გზაზე მათ საერთაშორისო მუშათა კლასი შეაყენებს და უკანახებს ჩვენს იურიდიულ ცნობასაც.

მართალია, მათ ჩვენ ვეჯავრებთ, ჩვენი განდგურება-მოსპობა მათი იდეალია,—მაგრამ ექვსი წლის უნაყოფო ბრძოლა, ათასნაირი საშეღლებით ჩვენთვის ცდა უნაყოფოდ ჩატარდა, ჩვენ საკმაოდ დავამტკიცეთ ცხოველმყოფელობა და არსებობის უნარიც საკმაოთ გამოვიჩინეთ და ისინიც იძულებულია ამას ანგარიში გაუწიონ.

პოლონეთი პირველი მერცხალია ამ მხრივ. სხვებიც ჩქარა მოყვრნდება.

და ფაქტოს დე-იურეც მოჰყვება.

კლდე.

## ინგლისი და საბჭოთა ფედერაცია

გაზეთები გვატყობინებენ, რომ ინგლისში საბჭოთა ფედერაციის ცნობა პოლიტიკის დიურ-წესრიგში დასმულა. უფრო ადრე ვიცოდით, რომ ინგლისის მუშათა პარტიამ ეს საკითხ ცენტრალურ საკითხათ გახადა საარჩევნო კამპანიის დროს.

რით აიხსნება ეს? მართლა მოხდა ინგლისის ბურჟუაზიას და ხელმძღვანელ პოლიტიკურ პარტიებში საბჭოთა რესპუბლიკებსა და, განსაკუთრებით, რუსეთის მიმართ ეგრეთ წოდებული გადაფასება, გარდატეხა? მართლა გამოიცვალა ინგლისის ბურჟუაზია და „მიოლო“ საბჭოთა მთავრობა, თუ მას ამოძრავებს სხვა რამე? აკი ვუშინ და ვუშინწინ ის იმიჯნებოდა საბჭოთა ქვეყნებიდან, როგორც ბიბლიური ნაზარეთიდან? აკი ებრძოდა ის იარაღით ხელში საბჭოთა რუსეთს? არხანგლის ექსპედიცია, კოლჩაკის დახმარება, ბეცი დე-



ნიკინის ველური ბრბოების შეიარაღება, განა ეს იქნა ინგლისმა თავის დანაშაულად და სურს საბჭოთა ცნობით ეს სისხლიანი ცოდვები რევოლუციონური ქვეყნის წინაშე კისრიდან მოხსნას?

არა, რასაკვირველია მიზეზი სხვაგან ძვეს და უფრო ღრმად, ვინემ ეს პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. არც რუსეთის საგარეო პოლიტიკის შედეგია ეს მომავალი ცნობა.

და რომ ეს ცნობა დღეს თუ ხვალ იქნება, უმკველად იქნება, ამაში იქვი არ გვეპარება რატომ?

აი რატომ.

დღეს ინგლისში საშინელი უმუშევრობაა. უმუშევართა რიცხვი იქ უღრის ერთ მილიონ სამასი ათასს კაცს, ამათ ვარდა სამოცი ათასი კაცი მუშაობს შემოკლებულ დროს, ე. ი. მთელი დღე არა აქვთ სამუშაოთ. ამ ციფრებში არ შედის უმუშევართა მთელი კონტინენტი. ოფიციალურ სტატისტიკის აქ მხედველობაში ჰყავს მხოლოდ ის მუშები, რომელნიც დახმარებას ღებულობენ, ვარდა ამისა უმუშევართა ოჯახის წევრები არ არიან აღრიცხვაში აყვანილნი. საშუალო რიცხვად თითო ოჯახში სამი კაცი რომ ავიღოთ და შემოსუნებული 60,000 კაცის ოჯახებიც მივუმატოთ, მივიღებთ 3,480,000 სულს. ცხადია, ჩვენი ციფირი სამი მინიმუმია, რომლის დაბლა დაწევა არ შეიძლება. მეორე, უფრო საერთოდ მიღებული ციფირი „ოთხი“ რომ ავიღო, მაშინ 5,450,000 სულს მივიღებდით. საშუალოთ, თუ უკოლოები და უქმარონი მივიღეთ მხედველობაში, შევირდეთ ოთხ მილიონ სულზე. ეს კი ინგლისის მცხოვრებთა ერთი მეათედია. უმუშევრობა კი ეკონომიკაში განსაკუთრებული კატეგორიაა. უმუშევრობა საყურადღებოა და საშიში არა როგორც მძიმე ტვირთი სახელმწიფოსთვის, არამედ როგორც ეკონომიური ფაქტორი. მაგალითად, როდესაც უმუშევართა რიცხვი კლებულობს, ბაზარზე მოთხოვნილება ნაკლებია და შემიძველობითი ძალა ამა თუ იმ ქვეყნისა უმუშევართა რიცხვის პირდაპირი პროპორციით კლებულობს. ეს კი არაა ხელსაყრელი წარმოების იმ ჯგუფისთვის, რომელიც იმპორტს ემსახურება და განაგებს. სწორედ აქ, ამ უმუშევრობის საკითხის გასწავლა, მისი ასე თუ ისე გარდაწყვეტაში დიდი მუხლა შემოხლავს ინგლისის ეკონომიური პოლიტიკაში და მის ხელმძღვანელ წრეებში. ყველა ეძებს გამოსავალს. ეს გამოსავალი ახალი ბაზრის შოვნაა. თუ უმუშევართა რიცხვის ინდუსტრიის ამა თუ იმ ნაწილის მოქცევაში მივაქცევთ ყურადღებას, შემდეგს დაინახავთ:

კრიზისის მოსასპობად საჭიროა (უმუშევრობის ლიკვიდაციისთვის) საგარეო ვაჭრულ-მრეწველურ მეურნეობა ინდუსტრიის გაძლიერება, ანუ გარეშე ბაზარი.

საგარეო ვაჭრობის მხრივ კი ინგლისი შემდეგ მდგომარეობაშია სხვადასხვა ქვეყნებთან:

**ინგლისის ექსპორტი უღრის:**

1. ევროპის სახელმწიფოებში . . . 34,2%
2. დომინიონებში . . . 18,5 „
3. ინგლისის ინდოეთში . . . 12,2 „
4. შერეობულ შტატებში . . . 8,0 „
5. შუა და სამხრეთ ამერიკაში . . . 8,8 „
6. სხვა ქვეყნებში . . . 18,8 „

ე. ი. თუ საგარეო ვაჭრობის ციფრი 100% ათ დავსახებ, მაშინ ერთი მესამედი ინგლისის საგარეო ვაჭრობის ობიექტისა, ანუ საქონლისა, სადღება ევროპაში. ეს ცნობები ეხება ინგლისის ექსპორტს 1922 წლის ოქტომბრიდან დაწყებულ დროს ვიდრე 1923 წლის ოქტომბრამდე, ე. ი. სულ უკანასკნელ ხანს და ეს ციფრები გამოქვეყნებულია ინგლისის ვაჭრობა მრეწველობის მიერ.

მაგრამ შეუძლია დღეს დასავლეთ ევროპაში ამ მდგომარეობის შენარჩუნება ინგლისს? არ შეუძლიან. აქ ორი მიზეზია. პირველი-საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის გამარჯვება რეინსა და რუტრი და მეორე ეკონომიური მდგომარეობა გერმანიისა.

ევროპის ყველა სახელმწიფოებში გერმანიით დღეს ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია. მის ჩამოშორებული აქვს ერთი მერვედი მისი ტერიტორიისა, რაც უღრის ბელგეთს, პოლანდიას და ლიუქსემბურგს ერთად. ამ ჩამოშორებულ ტერიტორიაზე სცხოვრობს ექვსი მილი. ოთხასს სამოცდა ათი ათასი მცხოვრები, რაც გერმანიის მოსახლეობის ერთ მეათედს შეადგენს. ამ ტერიტორიაზე ელზას-ლორენი, პოზნანი, პომერანია, ე. ი. გერმანიის ყოფილ იმპერიის უმდიდრესი ნაწილები, რომლებიც იძლეოდნენ პურისა და ქართობილის საუკეთესო მოსავალს. მაგალითათ, თუ მთელ დანარჩენს გერმანიისში 1923 წელს თითო სულზე მიდიოდა ხორბლეულობა 239 კილო და ქართობილი 728 კილო, ზემოხსენებულ პროვინციებში თითო სულზე მიდიოდა ამავე წელს ხორბლეულობა 570 კილო, ხოლო ქართობილი 2,032 კილო, ვარდა ამისა ჩამოშორებულია ზემო სილეზია ქვა-ნახშირისა და ცინკის მდიდარი მალაროებით ბრანდენბურგი, შლეზვიგ-გოლშტეინი და რეინის პროვინციის ნაწილები. ამ ნაწილების ჩამოშორებით გერმანიის წარმოება იკლო %<sup>1</sup>/<sub>6</sub>-ებში: ქვა ნახშირმა 25,9-ით, რკინამ 74,5-ით, ცინკმა—68,3-ით ხორბლეულობამ—15,7-ით, ქართობილმა—18,0-ით. მოკლეთ, გერმანიეთა დაკარგა თავისი ნედლი მასალის ერთი მეოთხედთან სამ მეოთხედამდე, ანუ 25%<sup>1</sup>/<sub>6</sub>-დან 75%<sup>1</sup>/<sub>6</sub>-მდე. დიდზე დიდი ნაწილით ამ მასალისა სარგებლობს საფრანგეთი. ასეთს პირობებში ინგლისმა აწეწილ-დაწეწილ ევროპის შუა-გულიდან პირი უნდა იზრუნოს და ახალი გზები გამონახოს, ეს გზები არც ისე ახალია. დასავლეთ ევროპის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური კონიუნქტურა ისეთია, რომ ინგლისის კაპიტალს უჭირს იქ თავისი საქმიანობის მიწეს-

რიკები. დარჩა მეორე ნაწილი ევროპისა—საბჭოთა ფედერაცია. ეკონომიკა მუდამ პოლიტიკის საფუძველია. ეკონომიკა უკანახებს ინგლისს შესცვალოს პოლიტიკა ჩვენი ფედერაციისადმი. და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ თანდათანობით იცვლება ეს პოლიტიკა. მაგ., ჩვენ ვიცით, არც ერთხელ ლორდ კერზონს არ მიუღია საბჭოთა ფედერაციის წაარმომადგენელი კრასინი პირდაპირ, მუდამ მდივნის მეოხებით აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებას. დღეს კი საბჭოთა ფედერაციის ცნობა დღიურ წესრიგშია დასმული.

არის თუ არა ეს ჩვენი გამარჯვება? არის თუ არა ეს რევოლუციისთვის დადებითი მოვლენა?

— არის; და აი რატომ:

ყველასათვის გასაგებია, თუ რა სასარგებლოა ეკონომიურათ გაცელა-გამოცელის განახლება ინგლისთან ჩვენთვის. ეს ანახანაა. მაგრამ აქ საინტერესოა შემდეგი მომენტი: ინგლისის სახელმწიფოებრივობა აშენებულია კერძო საკუთრების ინსტიტუტის ხელშეუხლებლობის ნიადაგზე; ჩვენი სახელმწიფოებრივობა აშენებულია საწარმოო ძალთა განსაზოგადოებრივობის ნიადაგზე. საბჭოთა ფედერაციებში შექმნილია ახალი ფორმა წარმოებისა. აქ გატარებულია სრული საზოგადოებრივი რეგლამენტაცია. ევროპას ეგონა რომ ეს ახალი ტიპი წარმოებისა და საზოგადოებრივი სტრუქტურისა წაიციკოდა, რომ ის აგებული იყო სილაზე, რომ მისი ცხოველყოფელობა შეუძლებელი იქნებოდა. ეგონა და მოტყუვდა. მოტყუვდა და მოდის ჩვენთან. მართალია, მოდის როგორც ვაჭარი, თუმცა პირზე სააშვიკო ღიმილი აქვს. მაგრამ აქ დამარცხდა ის ვაჭარი, რომელიც ფედერაციის ბაზაროსობაზე ლაპარაკობდა. სჩანს, დარწმუნდა ჩვენს სიმარტეში, ჩვენი მშენებლობის სიმტკიცეში და, გაკოტრებული სახლში, გვეუბნება: გიცნობთო, ეს შესძლებელიაო.

— კარგი, ვიტყვით ჩვენ ბურჟუაზიულ ინგლისს, კარგი. მხოლოდ საბჭოთა ფედერაციის მუშებსა და გლეხებს ვიტყვით:

— ინგლისი (განა მარტო ისა?) ბევრი ხანია ჩვენ „გვიცნობდა“. იმ უბანში, რომელიც დენიკინისა და კოლჩაკს ჩავამტკიცეთ, ბევრი იყო ინგლისური კბილი. ის დღესაც სტკივა ინგლისს.

— ამ ცნობით ბურჟუაზიული ინგლისი ქედს იხრის რევოლუციონური საბჭოების წინაშე. მართალია, ეს ცნობა ჯერ არ არის რეალობა, მაგრამ ინგლისის რეალობას ამ ცნობისკენ მიყავს ის.

იქნება ეს.

რ. კორქია.

|                           | მუშაობენ  | უმუშევარი | „ „ „ |
|---------------------------|-----------|-----------|-------|
| 1. საექსპორტო ინდუსტრიაში | 4.478.160 | 628.613   | 14,9  |
| 2. შინაგან ბაზარში.       | 4.309.640 | 421.341   | 9,8   |
| 3. საიმპორტო ინდუსტრიაში  | 582.800   | 61.910    | 10,6  |

ამ გვარად უმთავრესი ადგილი უმუშევრებს საექსპორტო ინდუსტრიაში უჭირავთ, ე. ი.

## საბჭოთა უმუშევრობა

### პარტიის გაძლიერება.

(ქალაქის მიყრუებულ ქუჩაში ფეხაკრეფით მიდიან თითო-ორი ლანდები. ერთ უბრალო სახლში ჩუმად შეიპარებიან ლანდები. რამდენიმე კაცია. ელიან ვილაკას. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის კაცი ვინმე შავგვრემანი,



გადხედავს ხუთმეტამდე შეკრებილ „ამხანაგს“ და ექითხება).

**კაცი ვინმე შავი.** ეხლა მოდით, როცა დაინგრა პარტია?

**1 ლანდი.** თუ ერთი პარტია დაინგრა, მეორე შევექნათ.

**კაცი ვინმე შავი.** კი მარა ვისგან?

(ცოტა სიჩუმე).

**2 ლანდი.** ხალხისგან.

**კაცი შავი.** ვინ ხალხისგან?

**2 ლანდი.** ვინც გაბრაზებულია ბოლშევიკებზე.

**კაცი შავი.** ვინაა გაბრაზებული? თქვით ვარკვევით, ვისგან შეგვიძლია პარტიის შედგენა?

**ლანდები.** (ერთხმად). ერი, ბერი, თავადი, ახნაური, მემამულე, მღვდელი...

**შავი კაცი.** (ჩაფიქრდება. შემდეგ) ეს იდეა!

**1 ლანდი.** ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სხდომა გამოვცხადოთ კონფერენციით.

**შავი კაცი.** მერე ვინ ავირჩიოთ?

**1 ლანდი.** ყველამ, ვინც მტერია ბოლშევიკების.

**2 ლანდი.** ესე იგი აზნაურებმა, მემამულეებმა, მღვდლებმა, რომლებიც უსაქმოდ დახეტებოდნენ გოლოვინის პროსპექტზე.

**შავი კაცი.** რამდენი კაცის წარმომადგენელი ხართ?

**1 ლანდი.** ათასის.

**2 ლანდი.** მეტი იქნება.

**3 ლანდი.** ორი ათასი იქნება.

**4 ლანდი.** კიდევ მეტი იქნება,

**5 ლანდი.** ორი ათას ხუთასი იქნება.

**შავი კაცი.** მაშასადამე ჩვენი კონფერენცია იქნება მენშევიკური პარტიის, რომელიც აერთიანებს თბილისში ორი ათას ხუთას კაცს.

**ლანდები.** სწორია.

**შავი კაცი.** ეს ორი ათასი კაცი შესდგება სასიქაღლუო ქართველ გმირთაგან.

**ლანდები.** სწორია.

**შავი კაცი.** იმ გმირთაგან, რომელიც დღეს თავგამოდებით ებრძვიან ბოლშევიკებს.

**ლანდები.** სწორია..., რომელთაც ბოლშევიკებმა წაართვეს მიწა, მამული, ქონება, ანაფორა და დასტოვეს ხელცარიელი...

**შავი კაცი.** დღეს ჩვენ ვაკეთებთ მთელი საქართველოს და ქართველი ხალხის საქმეს და არა პარტიისას.

**ლანდები.** სწორია... რის პარტია! უპირველეს ყოვლისა ქართველი ბურჟუაზიის და ფეოდალების საქმე.

**შავი კაცი.** ამიტომ ჩვენი პროგრამის პირველი მუხლი უნდა შეიცვალოს ასე: „პარტიის წევრად შეიძლება იყოს ყველა ის, ვინც ხელს უწყობს ბოლშევიკებთან ბრძოლას, თანაგვეგრძნობს საქართველოს განთავისუფლების საქმეში და სამეფროვანი დროშას მზადაა შესწიროს თავი, მიუხედავად იმისა მუშა იქნება ის, ფეოდალი, ბურჟუა თუ ინტილენგენტები. ამასთანავე მათ

უნდა შემოქონდეთ პარტიული გადასახადი, ხოლმე.

**1 ლანდი.** ერთი შესწორება შეიძლება დავამოხსნათ: „ვინც მიზნად ისახავს მემამულეებისთვის მიწების დაბრუნებას“.

**2 ლანდი.** მეც მაქვს შესწორება: „ვინც მიზნად ისახავს ასეთივე ჩამორთმეულ ქარხნების და ფაბრიკების ძველ პატრონებისთვის დაბრუნებას“.

**3 ლანდი.** მეც მაქვს დასამატებელი: „ვინც მიზნად ისახავს დაკეტილ ეკონომიკის აღდგენას და მღვდლებისთვის ძველი მდგომარეობის დაბრუნებას“.

**4 ლანდი.** თუ ჩემი დამატებაც არ მიიღეთ, ისე არც ერთი თქვენი დამატება არ იქნება რეალური. მე უმატებ: „ვინც მიზნად ისახავს მუშებისა და გლეხების გაწურვას ისე, რომ მათ არ გაბედონ მომავალში არავითარი ბუნტი“.

**შავი კაცი.** ყველა ეს დამატებები სწორია და მისაღებია, მაგრამ მათი პროგრამაში ჩაწერა გავეფუძუებ საქმეს. მათი განხორციელება ხომ ჩვენს ხელშია? როცა გავიმარჯვებთ, მაშინ დავესაუბრო ყველა ეს დამატებანი პირდაპირ ცხოვრებაში გასატარებლად. ეხლა კი მივიღოთ პარტიაში ყველა ის, ვინც თანაუგრძნობს ყველა იმ წინადადებებს, რომლებიც აქ იყო შემოტანილი.

**ლანდები.** თანახმანი ვართ.

**შავი კაცი.** მაშასადამე, იმედი მაქვს ხოლმე, რომ ჩვენი პარტია იქნება აღდგენილი.

**ლანდები.** იქნება, იქნება, ხვალვე შეგვკრებთ რამდენიმე ათას წევრს, რომლებიც შემოიტანენ საწვერო ფულს სისტემატურად.

**კაცი ვინმე შავი.** მაშ დამილოცნია თქვენი მუშაობა. წადით, არ დაიშფოთოთ ენერგია, შეადგინეთ პარტია ახალ საძირკველზე, რომ ყველა ჩვენ მტრებს, ბოლშევიკებიდან დაწყებული ფარნიევ-მნგელა-რუხაძეებით გათავებული, ცხვირში ძმარი ვადინოთ.

(შავი ლანდები ადგებიან და ნელ-ნელა, ფეხაკრეფით მიდიან. შავი სილუეტები მიხეხუტებიან ლამის სიბნელეში და მიიმალებიან წყვედი-ადში).

დემონი.

### საბჭოთა ფინანსების გარეგანი.

დღეს მტერ და მოყვარეს აფიქრებს ფინანსიური საკითხი. ყველას აინტერესებს საბჭოთა ფულის ბედი. ეს დაინტერესება, რასაკვირველია, სხვა და სხვა მიზნითაა. ერთი ფიქრობენ: საბჭოთა კავშირი თავს ვერ გაართმევს ფინანსიურ კრახს და ამ ნიადაგზე ის დაილუბება. მეორენი კი შიშით უცქერიან მომავალს. ვაი თუ საბჭოთა ფულის ნიშნებმა წაგლეჯოს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს

ეგრედ წოდებულ „ობივაციტლებს“ მსჯელობასთან.

ამჟამად, რომ საბჭოთა კავშირის ფინანსიური მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ არა უიმედო. „ობივაციტელი“ აზრს ჩვენ შეგვიძლია წინ წაუყენოთ რუსეთის ფინანსთა სახალხო კომისარის სოკოლნიკოვის გეგმები.

ამ გეგმების თანახმად საბჭოთა კავშირის უკვე შედგენილი აქვს 1924 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. წლიური ხარჯთ-აღრიცხვა 1,700 ჩერვონის მანეთში გამოიხატება. დეფიციტი მასში უდრის დაახლოებით 425 მილიონ მანეთს, ანუ მთელი ხარჯთაღრიცხვის ერთ მეოთხედს. განზრახულია ამ დეფიციტის ნახევარის სესხებით დაფარვა, დანარჩენის კი ემისიით. ემისიით დაიფარება დაახლოებით 180 მილიონი მანეთი.

თავის თავად ეს არ არის დიდი ემისია. საბჭოთა კავშირის ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა რომ ნორმალური იყოს, მაშინ ეს ემისია ნორმალურად ჩაითვლებოდა.

ასეთი მცირე დეფიციტი საშველბას იძლევა ფულის რეფორმის გატარებისა.

თუ დაუყოვნებლივ არ გატარდა ფულის რეფორმა, მერე გვიან იქნება, როგორც ეს გერმანიას მოუვიდა. გერმანიაში მარკის ზღაპრულმა დაცემამ დაამკვიდრა მხოლოდ საზღვარგარეთელი ვალიუტა და მარკები განდიდნა. ახლა მტკიცე ვალიუტის შემოღება ძნელი გახდა.

საბჭოთა რესპუბლიკებში კი მტკიცე ვალიუტა ჩერვონეცის სახით უკვე არის. მაგრამ საჭიროა ხურდა ფულიც, რომლის ფუნქციას ამ ჟამად საბჭოთა ნიშნები ასრულებს. ფულის რეფორმას განზრახული აქვს საბჭოთა ნიშნები, რომელნიც ყოველ დღე ეცემა, შეცვლილ იქნას ნაწილობრივ რუბლის გზის სერტიფიკატებით (ეს ჩერვონეცის მაგვარი ფულია, მხოლოდ ის გამოშვებულია რუბლის გზის მიერ, ხოლო ჩერვონეცი სახელმწიფო ბანკის მიერაა გამოცემული). ნაწილობრივ კი ვერცხლის ხურდა ფული.

არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ახალი ფული დაეცემა, თუ დეფიციტი არ იქნა გადიდებული. მომავალ წელში ნატურალური სასოფლო-სამეურნეო ვადასახადი შეცვლილ იქნება ფულით და მოგროვდება ახალი ფულით და ჩერვონეცით. გლეხები ვადასახადის ვადასახდელად შეიძენენ ახალ ფულს და ჩერვონეცებს და ამიტომ ისინი (ახალი ფული და ჩერვონეცი) განმტკიცდებიან.

ფულის რეფორმა მოუტანს დიდ სარგებლობას მთელ მეურნეობას. განსაკუთრებით მოიგებს ამით სოფელი, რომელსაც უმთავრესად ატყდება თავზე საბჭოთა ფულის დაცემის შედეგები ამ ჟამად.

ფულის რეფორმა უეჭველად გამოიწვევს აგრეთვე ქალაქის ბაზარზე ფასების საღრმე-ნობლად შემცირებას. ჩვენში საქონელი საგარეგანოდ ძვირდება იმიტომ, რომ ვაჭრები უმატებენ პროცენტებს საბჭოთა ფულის ნიშნების მომავალ შესაძლებელ დაცემის გამო.

როცა საბჭოთა ფულის ნიშნები გაუქმდება და მის ადგილს ახალი ხურდა ფული და ჩერვონეცი დაიკავებს, არ იქნება საჭირო ასეთი „დამატება“ საქონლის ფასზე და საქონელი აგრძნობლად გაიფუძება.



საქონლის ფასების დაკუმით განსაკუთრებით მოიხვედრება მუშები, რომელთა რეალური ხელფასი გაიზარდება. ფასების დაწვევა ხელს შეუწყობს აგრეთვე ქალაქს და სოფლის „სინიკს“.

როდესაც დასავლეთ ევროპაში ინტერვენცია ვერ მოახერხა, ის ფიქრობდა, რომ თუ ინტერვენცია არა, ფინანსური კრიზისი დაამთავრებს საბჭოთა რუსეთსო. მაგრამ არც ეს გაუმართლად იმპერიალისტურ ევროპას. ასეთი საშროება დიდი ხანია, რაც რუსეთმა უკან დასტოვა. და როდესაც საბჭოთა ქვეყანა საბჭოთა ფულის ნიშნებს შეცვლის მტკიცე ვალიუტით, ეს კვლავ დაუმტკიცებს ევროპას, რომ საბჭოთა ქვეყანა წინ მიდის და დალუბვას არ აპირებს. ამიტომ ფულის რეფორმა მეტად გამტკიცებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო კავშირის საზღვარ-გარეთთან: იქაური მუშები კი იტყვიან: „ჩვენი მეურნეობა იშლება, ხოლო რუსეთი—ლორძინდება“.

ბანკოტები ჩერვონცებზე პატარა არ იქნება გამოშვებული. გამოიციმა მხოლოდ ხურდა ახალი და ვერცხლის ფული.

რაც შეეხება საბჭოთა ფულის ნიშნებს, ისინი სახელმწიფოს მიერ გადაცვილი იქნება ახალ ფულზე განსაზღვრულ ვადაში.

ასეთი რეფორმა განზრახული ფინანსთა კომისარიატის მიერ. ეს პროექტი რეფორმისა ახლო მომავალში გამოიციმა განსახილველად სათანადო ორგანოებს და თუ მიღებულ იქნა, რეფორმის გატარებას შეუდგება ფინანსთა კომისარიატი განაუხლებს თავის.

## ფაშისტური საფრთხე.

I.

ჩვენი ახალი გზის გამონახვის და ოქტომბრის რევოლუციის მიღების, მასთან მისვლის ერთ ერთი მთავარი მიზანთაგანი არის უსათუოდ, მსოფლიო რეაქციის მიერ იარაღის აღდგენა და საომროთა გამაზღვრა.

მრავალი წლების განმავლობაში რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლ მასას არ შეეძლო გულგრილად მოპყრობოდა იმ ფაქტს, რომ მისი მოსისხლე მტერი ირანხებოდა, ვადამკრელი ბრძოლისათვის ეზადებოდა, ძალებს კრებდა და დღეს თუ არა ხვალ მუშათა კლასს და რევოლუციონერ მშრომელ მასას თავს დაესხმებოდა; ხოლო მას კი განზე უხდებოდა დგომა და ხანდის-ხან შეიძლება უნებურადაც, მაგრამ სწორედ რეაქციისათვის ხელის შეწყობა უხდებოდა. ამიტომ იყო, სხვათა შორის, რომ 12 ათასმა გულწრფელმა რევოლუციონერმა ერთხელ და სამუდამოთ უჩვენა ზურგი შეცდარა გზას და მუშათა კლასის საერთო ლაშქარს შემუერთდა, რათა გაეძლიერებია ის და მასთან ერთად ჰკვეთებოდა მოსისხლე მტერს.

მტერი კი საქმათ ძლიერი და იმასთანავე მოჭრილიც არის.

მისი თვისებების შესწავლა, მისი შინაგანი ბუნების გაგება, მით უფრო საჭიროა და აუცილებელი, რაც უფრო ძლიერი არის ის, რათა სუსტი მხარეები აღმოუჩინოთ, დროზე და მოხერხებულათ ჩავეცთ დახვარი და უზრუნ-

ველცყოთ საბოლოო გამარჯვება შრომისა—ტორანიაზე.

ხშირად იციან ხოლმე თქმა, რომ მსოფლიო დღეს ორ დიდ ბანაკად არის დაყოფილი ერთის მხრით დარაზმული ახალგაზრდა ძალონით სავსე მუშა ხალხის მშრომელთა რეინსტრუირი ლაშქარი, მეორე მხრივ დრო მოქმული ბურჟუაზიის რაზმები, რომელსაც შედარებით სიმტკიცე და გაწვრთნა არ აკლია. ძველა და ახალი ქვეყანა ერთ მეორეს დაუპირდაპირდა.

დრო მოქმული კაპიტალისტურ საზოგადოებას ახალი ძალა პროლეტარიატი უცხადებს სამკვდრო სასიცოცხლო ომს, ვინაიდან კაუტკის სიტყვები რომ ვიხმაროთ: „სოციალიზმი შეიქნა უკვე ეკონომიური აუცილებლობა“<sup>1)</sup> მისი განხორციელებისათვის ბრძოლა საერთაშორისო რევოლუციონური პროლეტარიატის მიერ დღის წესრიგშია დასმული.

ჯერ კიდევ ათას ცხრაას თოთხმეტი წლის დიდი ომის წინ სხვა და სხვა გამოჩენილი სოციალისტები ამბობდნენ, რომ მსოფლიო ომი იქნება კრიზისი თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილებისათ.

ოტტო ბაუერი ასე სწერდა თავის წიგნში „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია: უსათუოდ მომავალი იმპერიალისტური საერთაშორისო ომი გამოიწვევს რევოლუციონერ გადატრიალებას“.

იმპერიალისტური საერთაშორისო კატასტროფა უსათუოდ იქნება დასაწყისი საერთაშორისო სოციალისტური გადატრიალებისათ.

მართალია, ოტტო ბაუერი ასცდა იმ გზას, რომელზედაც ის მიუთითებდა თვითვე, მაგრამ ამით მდგომარეობა არ შეცვლილა, მისი პერიოდები გამართლდა და დღეს ჩვენ მოწმენი ვართ იმის, რომ მთელი დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი რევოლუციონური ღრუბლებით არის დაფარული და მის მწვანე ზედაპირზე ამაყად დაფორთხობს წითელი დროშა.

მსოფლიოს ამ ერთი მეექვსედ სივრცეზე დღეს უკვე ხორც-შესხმულია მშრომელი ხალხის ოცნება.

მას ძალა-უფლება ხელში აქვს აღებული და მტკიცე ნებისყოფით, სძლეეს რა საამისო დაბრკოლებებს, რომელნიც წამ და უწუმ ელობებოდნენ წინ, მიღის ერთხელ დასახულ მიზნისაკენ—მშრომელთა სრული განთავისუფლები-საკენ კაპიტალის კლანჭებისაგან.

მაგრამ დანარჩენი 5/6 ნაწილი დედამიწის ზედაპირისა ჯერ კიდევ კაპიტალის ხელშია და მასთან შებრძოლება მოუხდება არა კერძოთ რომელიმე ერის ან სახელმწიფოს მუშათა კლასს, არამედ მთლიანად მთელი ქვეყნის შეერთებულ პროლეტარათ ლაშქარს.

და ეს შებრძოლება, უკანასკნელი ქიდილი უსათუოდ იქნება ვადამკრელი მნიშვნელობის და ამიტომ უღმობელი და სასტიკიც.

მართალია, კაპიტალისტურმა საზოგადოებამ ისტორიულად მოსკამა თავისი დრო, ის უკან უკან მიაქანებს კაცობრიობას და რაც მალე გამოესაღებება წუთის სოფელს მით უკეთესი იქნება, მაგრამ მის შესწევს ჯერ კიდევ საქმაო ძალა იმისათვის, რომ თავისი ძირ მომპალი

ჩონჩხის დასაცვალ არმიები გამოიყვანოს ბრძოლის ველზე და შეაქილოს ახალ ძალას.

თუ ერთის მხრით პროლეტარიატი ემზადება, ძალებს იკრებს და ირანხება, მეორე მხრივ, სამაგიეროთ, არც ბურჟუაზიას სძინავს და ისიც ამაგრებს თავის რიგებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ისიც დარწმუნდა, რომ პარლამენტი ვერ იქნება ის მაგარი კედელი, რომელსაც ამოფარებულნი, შესძლებდა ის თავის გადარჩენას.

პარლამენტარული ლათაიებით შეპყრობილი და შეკავშირებული რევოლუციონური მასისათვის თვალის ახვევას ის ვეღარ შესძლებდა და ამიტომ იყო, რომ საერთაშორისო ბურჟუაზიამაც აისხა იარაღი, დაიწყო ვარჯიშობა და თავის დასაცვად მზადებას შეუდგა.

დინახა რა კარზე მომდგარი სიკვდილის აჩრდილი, მსოფლიო რევოლუციის სახით, ის შეეცადა შეედგინა თავის დასაცვად რაზმები და ამით თავიდან აეცილებდა საშინელი ბედი.

ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზია შეიარაღდა. მათ შეადგინეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დახმარებით, საკუთარი ლაშქარი და შეუდგნ საქმიანობას.

აი ამ შეიარაღებულ, შეკავშირებულ ბურჟუაზიის დამცველ ლაშქარს ეწოდება დღეს „ფაშისტური“ ორგანიზაციები.

მუშათა კლასის წინააღმდეგ ბურჟუაზიამ თავისი ძალები დარაზმა და გამოიყვანა ბრძოლის ველზე.

ეს რაზმები უკვე კარგა ხანია „ვარჯიშობენ“ დასავლეთ ევროპაში, ამერიკაში, იაპონიაში, გერმანიაში და სხვაგანაც.

ისინი არბევენ მუშათა ორგანიზაციებს, აწი-ოკებენ მუშა ხალხს, ტერორის ქვეშ ყავთ დაყენებული რევოლუციონერთა კერძო პიროვნებები.

არბევენ კავშირებს, მუშათა გახეთების რედაქციებს და სტამბებს და ვინ იცის რას არ წაიღიან, რომ დააფრთხონ მასსა, დეზორგანიზაცია შეიტანონ რევოლუციის დამცველთა რიგებში და ამ რიგათ თავიდან აიცილონ მომავალი საფრთხე.

მაგრამ მუშათა კლასის ნების ყოფას და სიმტკიცეს ასეთი აქტებით ვერაინ შეარყვეს და მით უმეტეს კლასიკური მოწინააღმდეგე ვერ გასტენს მას წელში.

ფაშისტურ რაზმების თარეშს მუშათა კლასი თან და თან შეკავშირებულ და გაძლიერებულ წინააღმდეგობით უპასუხებს.

ის სწავლობს თავის მტერს. ირკვევს მის თვისებას და შემდეგისათვის ვადამკრელ ბრძოლების დროს შედარებით ნაკლები ღონის დახარჯვით ამოგლეჯს ამ საშინელ გახრწნილ წყლულს კაცობრიობის სხეულიდან.

ამ ბრძოლაში საქმით აქტურნი მონაწილეობის მიღება მოგვიხდება ჩვენც, საქართველოს მშრომელ მასას. და ამიტომ არ არის ზედმეტი ვიცოდეთ, ვინ არიან ფაშისტები, რა ჯურის ხალხი იყრის იქ თავს, რა მეთოდებით იბრძვიან ისინი და რამდენათ ძლიერები არიან.

### 3. ქორაშელი.

<sup>1)</sup> Кауцкий „Социализм и колониальная политика“



# გ უ რ ი ს ზ ე ი მ ი

(ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გახსნის გამო).

26 დეკემბერს შესრულდა გურიის მშრომელ ხალხის დიდი ხნის ოცნება. ამ დღეს გაიხსნა ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა, დღესასწაულს აღვილობრივ მცხოვრებთა გარდა დაესწრო მრავალი სტუმრები ტფილისიდან. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქმეს ოზურგეთში შეკრებილ მიტინგზე ანხ. ფილიპე მახარაძემ, შ. ელიავამ, მ. ორახელაშვილმა, ხიმშიაშვილმა, ნ. ლევაიამ, პოზდევმა, ა. რუხაძემ და ა. წულაძემ. მიტინგზე თმეგჯღომარეობდა ანხ. ა. დოლიძე.

მოკლე ისტორია ნატანებ-ოზურგეთის გზის არის ასეთი.

მრავალჯერ აღძრული შუამდგომლობანი აღვილობრივ მოსახლეთა მიერ იმის შესახებ, რომ ოზურგეთი, ზუგდიდი და ონი შეერთებული ყოფილიყო მთავარ ლიანდაგთან, როგორც მასაზრდოვებელი შტოები, მუდამ რჩებოდა „ხმათ მალადგებელთა უდაბნოსა შინა“. ოზურგეთის მცხოვრებნი უკან 1896 წლიდან შუამდგომლობდნენ რკინის გზის გაყვანის შესახებ, მაგრამ ყოველივე ცდა უშედეგოთ იკარგებოდა.

1896 წელს ოზურგეთის თვით-მართველობის მიერ მეფის მთავრობის წინაშე აღძრული იყო შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მისცემოდა მას კონცესია რკინის გზის გასაყვანად სადგურ ნატანებიდან ქალაქ ოზურგეთამდე. შემდეგ უფლება უნდა ჰქონოდა ეს გზა გაეგრძელებინა შუაგულ გურიაში ვაკის ჯვარამდე, ჩონატაურამდე და სადგურ საჯავახოს შეერთებამდე. ამას გარდა სადგურ ნატანებიდან „წ. მ. ნიკოლოზის“ ადგილამდე შავი ზღვის პირად. ასეთი მისაგალი გზებით გადაჭრული იქნებოდა გურიის მთელი ტერიტორია და ამასთანავე მას ექნებოდა თავის საკუთარი ნავთსადგური შავ ზღვაზე. ეს მისაგალი შტოები მიაწოდებდა ახალ ნავთ-სადგურს სოფლის სამეურნეო, ტყის და სამთო მრეწველობის ნაწარმოებებს, რომლებიც ამჟამათ განუვითარებელ მდგომარეობაში იმყოფებიან. მრავალი წლების და ბევრი შუამდგომლობების შემდეგ გამოჩნდა იმედის ნაპერწკალი ამ საქმის კეთილათ დაბოლოებისა, მაგრამ დაინიშნა თუ არა კავკასიის მთავარმართებლათ თავადი ვალიონი, ეს ნაპერწკალიც ჩაქრა.

1905 და 1906 წლებში რეაქციის შემდეგ ამ რკინის გზის გაყვანის საქმე დიდი ხნით გადაიდო. 1913 წელს, როგორც იყო, მთავრობის მიერ ნება დართული იქნა ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის რაიონის ეკონომიური კლუბა-ძიება. 1914 წ. ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობის კომერციულ სამსახურის რევიზორი მიმანსკის მიერ წარდგენილი იყო მოხსენება, რომელიც შეიცავდა აღნიშნულ რაიონის ფრიად საფუძვლიან და ყოველ მხრივ ეკონომიურ შესწავლას. ამ მოხსენების საერთო შესაგალი განსაზღვრული იყო შემდეგ ნაირად:

მცირე სისწრაფით ტვირთის გადაზიდვა და დამატებითი შემოსავალი 88.975 მ.

დიდი სისწრაფით ტვირთის გადაზიდვა 1.000 მ.

მგზავრების და ბარგის გადაზიდვიდან შემოსავალი 34.200 მ., სულ 124.175 მ.

გზის გასაყვანათ ხარჯები განისაზღვრება 816.000 მან. ოქროთი. ექსპლოატაციის საერთო ხარჯები 74.024 მან., მასთან წმინდა შემოსავალი რჩებოდა 60.150 მან., რაც შეადგენდა გზის გასაყვანად დახარჯულ კაპიტალზე 7.4 % მოგებას.

იმპერიალისტურ ომის დაწყების გამო ამ რკინის გზის შტოს გაყვანის საკითხი კვლავ გადიოდა განუხაზვრებელ დრომდე.

როდესაც საქართველოში 1918 წელს დამყარდა მენშევიკების ხელისუფლება, კვლავ აღიძრა ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის საკითხი. ეს მთავრობა აღვივებდა და მხარს უჭერდა იმ იდეას, რომ აშენებული ყოფილიყო ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა სადგურ ნატანებზე გადატვირთვით. ვიწრო ლიანდაგიანი შტოს გაყვანა, გარდა ტექნიკურ უეცრობისა, თუ მივიღებთ მხედველობაში აღვილობრივ ხელსაყრელ ტოპოგრაფიულ პირობებს, მუდმივ გადასახადად დაწვებოდა აღვილობრივ მცხოვრებს, როგორც გადატვირთვის ხარჯი, ისე 18 ვერის მანძილის უფრთხილი ექსპლოატაცია, ვიწრო ლიანდაგის მეურნეობით გამოწვეული. მაგრამ ეს პროექტიც ვერ განახორციელეს.

თუმცა მენშევიკური მთავრობა სცდილობდა ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის პროექტის განხორციელებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ჟამად მაინც კიდევ მოიპოვებიან მენშევიკური სულით გაკეთილილი ზოგიერთი ისეთი პირები, რომლებიც, რათა საბჭოთა ხელისუფლებას როგორმე კბილი გაკრან, გაბოროტებულნი და გველის სისინით დაქინებით იმეორებენ ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის უმიზნობას და არ საჭიროებენ.—ამისათვის მოვიყვან ერთ-ერთ ქათველ მენშევიკის (სახელდობრ ა. ქიბარიაშვილის) დეკლარაციულ წერილის ამონაწერს, რომელიც ოზურგეთის რკინის გზის შესახებ, შემდეგსა სწერს: „და აი საბჭოთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა საზოგადოება—ქ. ოზურგეთამდე რკინის გზის შტოს გაყვანა (დაახლოებით 20 ვერის მანძილამდე) რაშია საქმე, საბჭოთა მეურნეობის დღევანდელ პირობებში და კერძოთ სარკინის-გზო საქმის მსვლელობაში რა ანგარიშია ასეთი გზის გაყვანა და ისიც ისეთ პატარა ქალაქში, როგორც არის ოზურგეთი; შესატანი და განმოსატანი მარზიდან, მით უმეტეს, მარზის ამ ნაწილიდან და ამ ხაზით არაფერია. ეს გზა ემსახურება და მომავალშიც იმსახურებს მხოლოდ მგზავრების და ბარგის მიმოსვლისათვის, რისთვისაც სრულიად საქმარისია ორი წყვილი ურემი და ორი დიდიჟანი ან და ეტლი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოზურგეთი დიდი ხანია ოცნებობს ამ რკინის გზაზე და არავის არ უშუძლია ასე ღრმად იოცნების ყოველნაირ პროვოკაცზე, როგორც ამ მხარეს: ეს ხო

ჩვენი სახელგანთქმული გურიაა, გლეხთა მოძრაობის ავიზარდი; ეს ის სიმარტრა, რომელსაც ჩვენ კახელები და ქართლები, გურულების გასაჯავრებლად, პოლიტიკოსების თმბრიკას ევძახით; მართლა ამ დიდებულ და რევოლუციონურ გმირულ გურიაში ხალხი პირველად-ყოველსა იყოფა არა სოციალურ და თუ გინდ სქესობრივ, არამედ პოლიტიკურ ნიშნებით—პარტიულად. იქ მცხოვრებთა 100% სხვა და სხვა პარტიის პოლიტიკოსებია; საერთოდ მიველი მაზრა „ძალზე მომზამულია მენშევიზმით“. ყოველნაირი პოლიტიკოსებისათვის რკინის გზა ტკბილი ოცნებია, მაგრამ ყოველი ხელისუფლება, რომელსაც შეეძლო ანგარიშის გაწევა და აწონ-დაწონვა მხარის საერთო მოთხოვნებებისა და თვით ოზურგეთის მაზრისაც, დაბეჯითებით უარყოფდა გურულების ამ ოცნებას მით უფრო, რომ მთელი მაზრის სიგრძეზე, თუმცა განაპირა მხარეზე, მაგრამ მაინც, ვადის მაგისტრალი და საჭიროა მხოლოდ მისაგალი გზები და ხიდები მდინარეებზე.

მაგრამ პარტიული დისკუსიების და სჯაბაასების დროს, მუდამ წინა სდგას ერთი არგუმენტი, ეს—ოზურგეთის რკინის გზაა. არვიცი ვისუფლია თუ არა ამ ძლიერ არგუმენტს დაარღვიოს „მენშევიკების სიმარტრა“ (რადგან ასეთი იყო მოცემულობა და მასთან არა საიდუმლო, არამედ დეკლარაციული) მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ ის სისტემატიურად არღვევს რკინის გზის მეურნეობას, და ამასთანავე ცხადია ისიც, რომ ათასჯერ ჭკუასთან მისაღები იქნებოდა ის, რომ ამ საშუალებით იმავე გურიაში, გაეკეთებინათ გზა-ტკეცილები და ხიდები, ან და თუ აუცილებლივ საჭიროა რკინის გზის გაყვანა, მაშინვე საჯობს ვაგრძელებულ იქნას არსებული ტოტი რკინის გზისა რამდენიმე ათეული ვერის მანძილამდე, როგორც მაგალითად: შავი ზღვის რკინის გზა ზუგდიდამდე და ოჩამჩირამდე; კახეთისა—ლოგოდეხამდე, ან ვაგრძელებულ იქნას შორჯომის ტოტი ან და მიღებულ იქნას ყოველივე ღონისძიება ვიწრო ქიათურის ტოტის გადასაკეთებლად, რაც მეტად საჭიროა ჩვენ შავი ქვის მრეწველობისათვის, რომლის ბედთან მკვიდროთ დაკავშირებულია საქართველოს მრეწველობის ბედაც და სხვა. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ასეთ დიდ საქმეში მოსაზრებანი პარტიული—ავიტარობისა უფრო მალა არის დაყენებული, ვიდრე სახალხო სა-მეურნეო კეთილ-დღეობასა. (ეს წერილი ან. ქიბარიაშვილმა გადასცა საკავშირო საბჭოთა მთავრობას).

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ აქ იმედ დაკარგული მენშევიკის წერილის სრული შინაარსი ამ საკითხის შესახებ, რომ აშკარად დავინახოთ, თუ რა ზრიკებს და უფარგის საშუალებას მიმართავს ის ამ შემთხვევაში. მას სურს ამით დაუმტკიცოს ყველას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ოზურგეთის რკინის გზა ვაპყავს მხოლოდ საავტაციო—პროპაგანდის მიზნით.

საბჭოთა ხელისუფლებას ოზურგეთის გზის გაყვანის საკითხში არ უხელმძღვანელებია საავტაციო მიზნით.

საბჭოთა ხელისუფლება, გამოსული მუშათა და გლეხთა მასის სიღრმიდან, პირველივე



დღეებიდან მიჩვეულია თვალყური ადევნოს სოფლის გაქვრავებს.

ჩვენ მივხარბით ყოფილ დემოკრატიულ გზათა სამინისტროს ოფიციალურ საბუთს (7 ივნისი 1919 წ. № 1789) აი რა არის ნათქვამი ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის აუცილებლობის შესახებ:

„რკინის გზის უქონლობის გამო გურის მდიდარი ტყეები და მიანეულობა უსარგებლოთ რჩება, როგორც მხარისათვის, ისე მთელ რესპუბლიკისათვის; სოფლის სამეურნეო წარმოებები ჰკარგავენ ფასს, რადგან არ აქვთ იაფი და ხელსაყრელი გასაყალი; მეურნის შრომა ეცემა, მუშის ხელფასი კლებულობს, ეპრობა და მრეწველობა სულ მთლად ქვეითდება, საწარმოვო ძალები დღითიდღე სუსტდება და სხვა“.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მინიმალური ტვირთი ბრუნვის პროგრესის დროს, გზის შემოსავალი თანდათან გაიზრდება პირველივე წლიდან და წმინდა მოგება მიაღწევს 303,5% დახარჯულ კაპიტალზე.

ეს საბუთი სრულიად სპობს ა. ჭიბარძევის „მოტივებს“.

მენშევიკების მიერ შედგენილი პროექტი, ვიწრო ლიანდაგის გზის გაყვანის შესახებ ზემო აღნიშნული მიმართულებით, გარდა ვიწრო ლიანდაგის მიხანწეურობისა, ვერ უძლებდა ვერავითარ კრიტიკას ტრასის მხრიდანაც: ჯერ ერთი ის, რომ პირველივე წყალდიდობის დროს წაილექებოდა მთელი ლიანდაგი (რაც უკვე დამტკიცდა 1922 წ. 8 სექტემბრის წყალდიდობით). მეორე ის, რომ მე-3-ვე ვერსიდან ხაზი გადადიოდა ნატანების მარცხენა ნაპირზე, სადაც ნაკლები მოსახლეობაა და თავდება მდინარე ბუჯის შევსებულ თავში.

დამყარდა თუ არა გურიაში საბჭოთა ხელისუფლება, ოზურგეთის მაზრის აღმასკომი ენერგიულად შეუდგა ოზურგეთის რკინის გზის გაყვანისათვის მასალის დამზადებას, რათა განხორციელებულ ყოფილიყო დიდი ხნის პროექტი. 1922 წელს მარტის 19-ს ოზურგეთის აღმასკომის პლენუმმა გადასჭრა ეს საკითხი თავის სასარგებლოთ და დაუყენებლად ამოიჩინა თავიანთ შორის აღმასკომის წევრი ამხ. გრიგოლ ბებურის ძე სარჯველაძე, რომელსაც მიანდო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ნატანებ - ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის საქმეზე. ამ საქმის განხორციელება ითავა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ, რომელმაც თავისივე თავმჯდომარეობით შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა აღმოეჩინა ამ რკინის გზის ასაშენებლათ ყოველივე ქონებრივი საშუალება და მასალა. ეს კომისია შესდგებოდა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს ფინანსკომის მოადგილის, ამიერკავკასიის რკინის წარმომადგენლების და ოზურგეთის მაზრის აღმასკომის რწმუნებულისაგან.

ამ კომისიამ გადადგა გადაჭრილი ნაბიჯები, რომ ეს საქმე განარჯვებით დაგვირგვინებულიყო.

1922 წ. ივნისში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსებულ იქნა ნატანებ-

ოზურგეთის რკინის გზის აღმშენებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ავაქივი, წევრები: გზის მუშაობის უფროსი ინჟ. ა. გ. კაციტაძე, საქ. სახ. კომ. საბჭოს და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის განსაკუთრებული რწმუნებული გ. ბ. სარჯველაძე და ინჟ. გ. პ. თუმანიანი.

კომისიამ შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა და შეუდგა მუშაობას, ხარჯთ-აღრიცხვა გამოიხატა 244.000 ომიდე არსებული მანეთით. ეს ჯამი განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემცირებულ იქნა 237.000 მანეთამდე.

1922 წელს ივლისის დამლევს დაიწყო ახალი გამოკვლევა და ასაშენებლად მასალის შემოწოდების შეგროვება, ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრენ ბათუმის სანაპირო ტვირთ გადამზიდველი, რომლებმაც შემოსწირეს 35.000 მანეთამდე ოქროთი; შემდეგ აღსანიშნავია ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტვირთის გადამზიდვე მუშების შემოწოდება, როგორც ფულათ, ისე უფასო შრომით 6.000 მან. ოქროთი, მსხვილ შემოწოდებათა შორის უნდა აღინიშნოს ოკას შემოწოდება 5.000 მან. ოქროთი, თფილისის ქალაქის აღმასკომისაგან 2.000 მან. თფილისის მაზრის აღმასკომისაგან—მასალა, ღირებული 2.000 მანეთამდე; საქართველოს სახალხო მიწად-მოქმედების კომისარიატისაგან შემოვიდა მასალა, ღირებული 2.000, მანეთამდე, საქ. სახ. სასურსათო კომისარიატისაგან სურსათი ღირებული დაახლოებით 6.000 მან., შემდეგ დანარჩენმა სახალხო კომისარიატებმა შემოსწირეს სამუშაო იარაღი და შრომის ბეგარის გადამხდელისათვის სანოვავი.

საქ. სახ. კომის. საბჭომ პირველ დაცემით მუშაობისათვის გახსნა კრედიტი დაახლოებით 100.000 მან. ოქროთი. კრედიტის გახსნამდე და სრული გამოკვლევათა დამთავრებამდე უკვე 1922 წ. ავგისტოს ნახევარ რიცხვებში ოზურგეთში მომზადდრე წითელ ლაშქრის ნაწილმა აღმოსავლეთ ბრიგადის კურსანტებმა რიცხვით 1.000 კაცამდე დიდი აღფრთოვანებით მიჰყო ხელი ლიანდაგის მოსამზადებლათ მიწის სამუშაოს. უფრო მეტი აღფრთოვანებით შე-

უდგენ მუშაობას ადგილობრივი მცხოვრებნი, მაზრის აღმასკომის წინამძღოლობით.

1923 წლის 1-ლთებერვლიდან სააღმშენებლო კომიტეტი გადავიდა დაქირავებულ შრომაზე, მთელი მუშაობა სრულდებოდა ან დღით-ღამით მუშების მიერ, ან არტელების მიერ მოიჯარადრის უმისოთ, მარტო რკინის გზის სამუშაოთა უფროსის ხელმძღვანელობით.

| ნომერი | სახელი            | სამუშაო      | ჯ ა მ ი.   | 1 ვერსი.  | შ ე ნ ი შ ე ნ ა :                      |
|--------|-------------------|--------------|------------|-----------|--|
| 1      | მანუჩიანი         | დაქირავებული | 194,98     | 36,88     | მუშის ღირებულების გარდა.               |
| 2      | მუხის ნაღვი       | დაქირავებული | 59,892,28  | 3,525,42  | რკინის გზის ხიდების ღირებულების გარდა. |
| 3      | ხილონაძე ნაშენი   | დაქირავებული | 48,292,42  | 2,840,73  | რკინის გზის ხიდების ღირებულების გარდა. |
| 4      | ხელაძე შენიანი    | დაქირავებული | 17,167,50  | 2,774,56  | რკინის გზის ხიდების ღირებულების გარდა. |
| 5      | გზის კონსტრუქტორი | დაქირავებული | 570,00     | 33,53     | გადასაკონსტრუქციო ღირებულების გარდა.   |
| 6      | ტიტლვაძე          | დაქირავებული | 33,67      | 1,98      | ჯერ არ არის ვაჭორებული.                |
| 7      | დავითაძე          | დაქირავებული | —          | —         | გადასაკონსტრუქციო ღირებულების გარდა.   |
| 8      | საღვთისმშობლის    | დაქირავებული | —          | —         | გადასაკონსტრუქციო ღირებულების გარდა.   |
| 9      | წყალთ მგვაბი      | დაქირავებული | —          | —         | გადასაკონსტრუქციო ღირებულების გარდა.   |
| 10     | საღვთისმშობლის    | დაქირავებული | 14,951,81  | 579,52    | გადასაკონსტრუქციო ღირებულების გარდა.   |
| 11     | საღვთისმშობლის    | დაქირავებული | 171,574,56 | 10,082,62 | გადასაკონსტრუქციო ღირებულების გარდა.   |

ანაირად გურია დღეს ზეიმობს რკინის გზის გაყვანის ოზურგეთამდე.

ის, რაც—ვერ შესძლო ვერც ძველმა თვითპურობელურმა, ვერც მენშევიკურმა მთავრობამ, შესძლო—მუშაკლესთა მთავრობამ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ოზურგეთიდან ეს გზა ჩავა ჩონხატაურამდეც და ანაირად მთელ გურიას დიდ სარგებლობას და შეღავათს მოუტანს.

X.

# გერმანიის აჯებვის გარეშე

## ვერ დაზალს კომპარტია.

როგორც ჩვენს ურნალში უკვე იყო აღნიშნული, 23 ნოემბერს გენერალ სეკტამ გერმანიის კომუნისტური პარტია დაშლილად გამოაცხადა. ამის შესრულება მიენდო საოლქო სამხედრო ორგანიზაციებს, რომლებმაც ყველგან ჯარებით დაიკავეს პარტიის ყველა დაწესებულებანი და დაბეჭდეს სტამბები, წიგნის მღაზიები და პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები.

მაგრამ კომუნისტური პარტიისთვის არ ყოფილა ეს მოულოდნელი. აკრძალვამდე პარტია განიცდიდა წარმოუდგენელ რეპრესიებს. დატუსაღებული იყო მოავალი კომუნისტრი დახურული იყო განეთები და პარტია იძულებული შეიქნა ამ აკრძალვამდე არაღვებ-

ლურ მდგომარეობაზე გადასულიყო. ამიტომ პასუხისმგებელმა კომუნისტებმა განაცხადეს, რომ შეუძლებელია 300 ათას წევრიანი პარტია დაიშალოს და არც არის რაიმე საჭიროება პარტიის აპარატის გარდაქმნისათვის.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აკრძალვის მეორე დღესვე განაცხადა, რომ პარტია რჩება და ის განაგრძობს ბრძოლას სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ გაორკეცებული ენერგიით. მაგრამ სამხედრო ძალებს, რომ ადვილად არ ჩაეგდოთ ხელში პარტიის აქტიური წევრები, ორგანიზატორები, ცეკამ პარტიის ლეგალური აპარატი გაუქმებულად გამოაცხადა. პარტიის სათავეში სდგება დირექტორია, რომელიც საზღვარ გარეთ უნდა იმყოფებოდეს. ყველა ორგანიზა-



ტორები იხსნებიან თავიანთ პოსტებიდან და პარტიული წიგნაკები ცხადდება ვაუჭმებულად. რაიონებში კომიტეტების ნაცვლად სდგება დირექტორიები. პარტიის წევრები ქმნიან ხუთულებს. ცეკას წევრები მიემართებიან პრინციპში ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის ინსტრუქციების მისაცემად.

შექმნილმა პარტიებმა ხორცი შეასხა ცენტრალურ კომიტეტის იდეებს, რომ ფაბრიკა ქარხნებში შექმნილიყო კომუჯრედები. წინეთ ეს არ მოხერხდა. რადგანაც კომპარტიას აწვა 80 წელი სოც. დემოკრატიული ტრადიციისა და გასაქანს არ აძლევდა. ფაბრიკა ქარხნებში კომუჯრედების უქონლობა კი აფერხებდა პარტიულ მუშაობას, რადგანაც მუშაობის მთელი სიმძიმე აწევებოდა რაიონებში მომქმედ რამოდენიმე წევრს პარტიისა. ხოლო პარტიის წევრთა დიდი ნაწილი უსაქმოდ რჩებოდა.

ამ ჟამად კი ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა რაიონებს, რომ პარტიული მუშაობის ცენტრი გადაიტანონ ფაბრიკა ქარხნების უჯრედებში. უჯრედის საშუალებით პარტიის ყოველი წევრი მუშაობაში უნდა იქნას ჩაბმული. ის წევრები, რომელნიც შედიან კომუჯრედში, ითვლებიან პარტიის წევრებათ, იმ ადგილებში კი, სადაც არსებობენ მხოლოდ წევრილი წარმომებები, პარტიის წევრები უნდა გაერთიანდენ ხუთულებაში.

კომუჯრედების შექმნის გარდა პარტია აწარმოებს დიდ მუშაობას პროფკავშირებში და მუშათა სხვა ორგანიზაციებში, რომ დაარწმუნოს მასსები რევოლუციონურ ბრძოლის საქმიანებაში. ეს მუშაობა დღემდისაც სწარმოება და შედეგით ფრიად მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ჯერ-ჯერობით პარტიამ ვერ შესძლო მუშების შეიარაღება, რომ პროლეტარიატს საშუალება მისცემოდა შეიარაღებული ბრძოლა ეწარმოებია ძალა-უფლების დასაპყრობად. ბურჟუაზია დარწმუნებულია, რომ კომპარტია ამას აკეთებს, და ამიტომაც, რომ მას ასე გაათვრებით სთევინს.

ამ რიგად უნდა ითქვას, რომ პარტიის აკრძალვამ გააძევა მისი მუშაობა, თორემ არას შემთხვევაში არ მოსპო ასეთი.

ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა გერმანიაში დღითი დღე ამწვევებს კონფლიქტს მუშათა კლასის და ბურჟუაზიის შორის. ეს კონფლიქტი თავის გადაწყვეტას იპოვის მხოლოდ პროლეტარიატის შეიარაღებულ აჯანყებაში მისი კლასიურ მტრების წინააღმდეგ. გერმანიის პროლეტარიტი თანდათან უფრო ნათლად ხედავს, რომ მისი მეთაური მხოლოდ კომპარტია; მუშათა კლასის ნდობა კომპარტიისადმი არა მარტოქმეტიცდება, არამედ ორგანიზაციულ ფორმებსაც იღებს.

## ფერილი მიგოპართან

სალამი გოგი!

შენი წერილი მივიღე. გეტყობა ძალიან გულნატკენი ხარ ჩემზე, რომ ხელი მოვაწერე და დავტოვე მენშვეიკური პარტია.

მწერ: „წავიკითხე „სიმართლის ხმა“-ში შენი განცხადება და, სიმართლე გითხრა, ძალიან მეწყინა. არ ვიცი რა იძულება დაგაღდა ისე-

თი, რომ ასე მოქცეულხარ. ალბად ჩეკამ მიგიატივა, თორემ შენ არც ასე ადვილად გამოიცილებოდი“.

გოგი, იცი რა გითხრა—მერწმუნე არავითარ ძალდატანებას ადგილი არა ჰქონებია. მართალია, მე დიდი ხანია ემუშაობდი არალეგალურად, მაგრამ ამის შესახებ ჩეკამ მეც არაფერი იცოდა; ყოველ შემთხვევაში, თუ იცოდა მე ერთხელაც არ გყოფილვარ მის მიერ „მიპარტიებული“ და არც არავის დაუშინებია.

„ზოგი უფიზიონომიო და უპრინციპო პიროვნებები ხელს მხოლოდ იმისათვის აწერენ რომ სამსახურში მოეწყონ. უმუშევრობა და ამ ნიადაგზე ეკონომიური ვაჭირებება ადამიანს ხშირად ასეთ თაძაგელ ნაბიჯს ადგმევინებს“.

არა მგონია ეს სრული ჭეშმარიტება იყოს. ყოველ შემთხვევაში ჩემში ამ მოსაზრებას და ასეთ ბოროტგანზრახვას ადგილი არ ჰქონებია.

კარგა ხანია დარწმუნებული ვიყავი ჩვენს უსარგებლო მუშაობაში, ო, რამდენი უდანაშაულო მსხვერპლი შეიწირა ჩვენმა „წყალის ნაცვამ“.

„გახსოვს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრებს როგორ ვაღმერთებდით? „რა დიდი და გენიალური ბელები გვყავსო—იტყოდით“. კაცო, კაუცკიმ, მაკდონალდმა და ჟორდანამ უღალატეს (როგორც კომუნისტები გადახიან) მუშათა კლასს და აქ ვიღაც ფარნიევ-რუხაძეები თავისი კამპანიით კი იბრძვიან პროლეტარიატის გასამარჯვებლად? ეს ხომ დაცინვა არის ისტორიულ მოვლენებზე?“

დიახ! ისტორია დიდი უღმობელი არის.

დიახ! მან დაცინვაც იცის. ის არავის არ დაინობს. მერე—და საკითხის ასე დაყენება შეიძლება?..

ო, გოგი, გოგი, გამიგონე რას გეტყვი: ფანტიკოსები ნუ ვიქნებით.

ნუ შეგვეშინება; სინამდვილეს პირდაპირ შევხედოთ: პარტიული თავმოყვარეობა თუ უინიანობა თვალებს ნუ აგვიხვევს.

რა ვუყოთ, თუ იდეოლოგიაში პიროვნებათა ავტორიტეტი და პოპულიარობა, ხშირად წბილდებიან პრაქტიკულ საქმიანობაში.

რევოლუცია—მუშათა ათეულ წლებში და საუკუნეებში დაგროვილი ენერგია, მტარვალეზისადმი შურისძიების სიმძაფრე, ციკლოპიური სტიქია—არ ემორჩილება დიდ და გენიალურ პიროვნებებს წინააღმდეგ შემუშავებულ გეგმებს. ის უეცრივ მოვარდება მთელი თავისი სიძლიერით, განადგურების ინსტიქტით, შეუბრალებელი სისასტიკით, კიდევ მეტი, თუ გებავს, სისხლის წყურვილითაც—და სწორედ საქმეც ის არის, ვისაც მისი არ შეეშინება, ვინც მისგან არ გარბის, პირიქით, მივა მასთან და მის სტიქიურ ძლიერებას გზას უჩვენებს მშრომელთა იდეალების განადღებისათვის.

გოგი, შენ გახსოვს, ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როცა ერკმან-შატრიალის „გლები კაცის ისტორია“ წავიკითხე; აგრეთვე ზოგიერთი ლიტერატურა საფრანგეთის რევოლუციაზე.

მე ვოცნებობდი მომსწრებოდა რევოლუცია და ასე მეგონა, აუცილებლად ვიქნებოდი უაღრესი რევოლუციონერი, ე. ი. დღევანდელი გაგებით კომუნისტი.

მედრისა რევოლუცია და, თითქოს, სანახევროდ, პირიქით მოხდა.

ერთი რამ მწკარაა: თებერვლის რევოლუციამ ნამდვილი რევოლუციონური ხასიათი მიიღო ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

ნუ წავალთ შორს (შენ კიდევ მაწერ: ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შეილოცო). კაცო, ბოლოს და ბოლოს ჩვენმა ბელებმა ცრემლითა და ვიებით გამოვეყენე რუსეთს. რუსეთი რომ ყოფილიყო „დემოკრატიული“ ჩვენ ხომ არ გამოვეყოფოდით მას? ასე, რომ მოხმდარიყო, მაშინ ჩვენში ევროპული შევიწროება ათი ათასჯერ გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ესლა.

უკაცრავად, შენ აქ არ გაგვიცნოს, თითქოს მე ვამბობ ვხლა არის ეროვნული შევიწროება—თქო.

არა, მე ამას არ ვამბობ.

მართალია, არის ჯერ კიდევ მტკიანი ადგილები: ცარიზმის საუკუნემ დიდი სწულემა შეგვეყარა, მაგრამ ხომ ხედავ როგორ თანდათანობით და ჩქარი მსვლელობით ხდება მისი განკურნება.

ძმაო გოგი, იცი რა გითხრა; კომუნისტები ჩვენზე უფრო ნაციონალისტები და სოციალისტები არიან. (გოგი, ამ გამოთქმაში წინააღმდეგობა არ მოგვეჩვენოს).

„რაც უნდა იყოს მენშვეიკურმა პარტიამ აწარმოვა საღი პოლიტიკა, რომ რუსეთს გამოეყო მაშინ“.

აი, უკანასკნელი სიტყვა „მაშინ“ ამხელს ცოტაოდნავად შენს პოლიტიკურ მსოფლმხედველობის ინტენობას თუ საიდუმლოებას.

რას ნიშნავს ეს სიტყვა „მაშინ“? მე გგონია შენ ასე გესმის: როცა რუსეთში იყო სამოქალაქო ომი და „ყველაფერი ნადგურდებოდა“ (შენი სიტყვებით), საქირო იყო გამოყოფა.

შეიძლება, ზოგიერთი მოსაზრებით მეც დავეთანხმო ამას, მაგრამ შემდეგში ასეთი მდგომარეობის ვაგრძელებას შენც ირბულად უტყურო და ამიტომაც ამბობ: „მაშინო“-ს.

მწერ: შენ ჰამლეტობა? რევოლუციის პირველ ხანებშიაც გეტყობოდა“.

გოგი, შენ აქ „ჰამლეტობას“ ირონიულად ხმაობ, მაგრამ მე ეს სრულიად არა მწყინს. თუ „ჰამლეტობა“ მეტყობოდა, სწან ჩემი სიმპატია მაშინაც ყოფილა ოქტომბრისკენ.

მაგრამ მე ვიცი შენ რატომ მეძახი „ჰამლეტს“.

გახსოვს, როცა ბოლშევიკები გამოვიდნენ სამოქმედო ასპარეზზე, მაშინ ლენინზე რას ამბობდენ? მას ვილეგელმის აგენტს ეძახდენ. ამას ამბობდა სოფლის გლეხი, რომელსაც პოლიტიკის ან-ბანი არ ესმოდა.

დიახ, ვერ ვითმენდი, როცა ჩემთან საზიზლარ ცილს სწამებდენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს.

და კიდევ რამდენი იყო ასეთი ქობი, რომელსაც ავრცელებდენ ბოლშევიკების მოწინააღმდეგე პარტიები.

ჰო-და, როცა მე ამის წინააღმდეგ რამეს ვიტყუდი—ბოლშევიკი ხარ შენო. მეუბნებოდნენ (ნეტა ასეც ყოფილიყო)



ო, ეს არ არის გარკვეული, მინდობა კიდევ მე-საუბრა, მაგრამ წერილი მოიკითხეს. დანარჩენი სხვა დროს.

მომიკითხე მეგობრები.

შენი „ჰამლეტი“.

წ. შ. სხვათა შორის ამ შენი ხუმრობით თუ დაცინვით დიდებული სახელი გამოიშინა. ამიერიდან სხვა მეგობრებსაც ამ სახელით მიგსწერ წერილებს.

„ა.“

# ლაშქროსან სისტემის ჯარის უპირატესობა.

სამხედრო მოღვაწეთა უმრავლესობა რუსულ პრესაში მეტად უარყოფითად უყურებდა მილიციონურ სისტემას, როგორც ისტორიულ ვითარებაში გამოუცდელს. არ მოხმარებულს და უცნობს. ამგვარად მათ არ ჰსურთ წარსულ ისტორიული უღმრთელი ფაქტების ობიექტური ანალიზი და ამ გამოცდილებათა გათვალისწინება და მხედველობაში მიღება. მათ ლაშქროსანი (მილიციონური) ჯარი წარმოდგენილი ჰყავთ, როგორც სახელმწიფოს მძიმე განცდის დროს შემთხვევით შეკრებილი მასს შეკავშირებული და მოწყობილი, რომლის რაოდენობასა და აღჭურვილობას უნდა მუდმივად ჯარის მჭიდრო ორგანიზაცია უწყევალა. მილიციონურ სისტემის ჯარზე ამ გვარივე აზრისანი იყვნენ, წარსულ საუკუნის ოთხმოციან წლებში სამხედრო ავტორიტეტები ფონ-დერ-გოლცი და მოლტკე.

მაგრამ ავღლანართკოთ ჩვენ ჟორესი, რომელიც თავის „ახალ არმიას“ შემდეგ მოგვითხრობს: „კრიტიკულ წუთებში გამოდგინებულ ხალხის ენერჯიას, წესრიგიანად ჩამოყალიბებულს და ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს, ორგანიზაციულად შეკავშირებულს, რესპუბლიკას შეუძლია დაუძლეველი გახადოს, ვანსაკუთრებულად, თუ აღფრთოვნებას თან მიჰყვება მეთოდური მოქმედებანი და მისებრ კი-მართებული დარაზმვა. მილიციისა და მუდმივად ჯარის ერთი ერთმანეთისადმი პირის-პირ წაყენება, როგორც ამას ფონ-დერ-გოლცი ახდენს, სიტყვების თამაშია და განზრახ გაუგებრობის შექმნაა. ძლიერი მილიცია წარმოადგენს ქეში-მართლად მუდმივ არმიას, ქვეყნის დაცვის მუდმივ მხად მყოფ ხალხს, რომელიც მუდმივად იარაღის-ქვეშ იმყოფება“.

წარსულ იმპერიალისტურ ომის დასაწყისშივე წითელ ხაზით იყო აღნიშნული ძველ, მუდმივად ჯარის სისტემის სიკატრე, ვინაიდან იგი ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე ომის ბუნებრივ მოთხოვნილებას, საფრანგეთს და გერმანიას ომისათვის ბრძოლის უნარის მქონე ხალხის ნახევარი არც კი ჰყვანდა გაწვრთნილი, რუსეთს კი არა უმეტეს ერთი მესუთედისა, ომის დროს საფრანგეთმა საბრძოლველად ფეხზედ წამოაყენა მთელი თავისი ცოცხალი ძალა. რუსეთში კი ბრძოლისათვის ვარაგისი სამხედრო ვალდებულთა რიცხვი უდრიდა 25 მილიონს, ამ რიცხვიდან მოხალისეებით 12 მილიონი იყო შეკრებილი, რაც ნამდვილ სამსახურში მყოფთა რიცხვით 14 მი-

ლიონ კაცს შეადგენდა ე. ი. ბრძოლის უნარის მქონეთა ნახევარზე ცოტა მეტი და რუსეთმა ამის მომზადება შესძლო მხოლოდ ომის მესამე წლის ბოლოში.

იმპერიალისტურ ომის დასაწყისშივე რუსეთმა მთელი თავისი ძირითადი, საუკეთესო გაწვრთნილი და მჭიდრო შეკავშირებული არმია ფუჭსავადად შეანარცხა გერმანიის განვითარებულ სამხედრო ტენიკას. „ძირითადი“ არმია თავშივე ისე შეთხველა, რომ იგი თაღარივიდან მოწვეულ ჯარის-კაცთა რიცხვში ერთ მეხუტმეტედ და-ერთ მეოცედ ნაწილს შეადგენდა. დაბოლოს, იმ გვარი პირობანი შეიქმნა, როდესაც ხალხთა ისტორიულ ბედობალს სწყევტდა არა ძირითადი ჯარი, არამედ იმ დარგის ჯარი, რომელსაც ქუღუნდ ჯვარი ჰქონდა გაკეთებული და, რომელსაც ლაშქარი ჰქვიან. იგივე ითქმის ომისათვის სამხად საშუალებათა შესახებ, რომლის სათანადო მოწყობა-მოგვარებაში არც ერთი მეომარი სახელმწიფო არ იღვა თავის დანიშნულების სიმძლავრე. ეს იმით შეიძლება აფხსნათ, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონდა წარმოდგენილი ომის ამ გვარი ხანგრძლივობა, ომის და ბრძოლის საშუალებათა ასეთი ბუნებრივი ხარჯვა. ყველა ფიქრობდა ომის მოკლე ხანში დასრულებას, ვინაიდან გაბატონებული იყო საერთო შეხედულება, რომ სახელმწიფოთა ეკონომიური დაქიშვა ვერ გაუძლებდა ხანგრძლივ ბუნებრივ რყევას.

არავის არ ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი დამზადებულ სურსათის და მარაგის საშინელი სისწრაფით ხარჯვა, არავის არ ჰქონდა წარმოდგენილი თანამედროვე ომის ბუნებრივი სურათი, რაიც სინამდვილეში ასეთის რისხვად გადაიშალა. ამ ომმა ყველას ნათლად დაანახვა, რომ ბრძოლა და ომი თანამედროვე ხანაში იწარმოებს არა მარტო არმიებს შორის, როგორც აქამდისინ ხდებოდა, არამედ ომი, თანამედროვე გეგმით იწარმოებს შეჯახებულ სახელმწიფოთა საცხოვრებელ სახსართა და წყაროების შორის, რომ ომის პროცესში ჩაიბმევა მეომარ სახელმწიფოთა ყოველი ცოცხალი ძალა, მეცნიერება, მრეწველობა, სახალხო მეურნეობა და ამ გვარად იგი ხალხურად გადაიქცევა.

წარსულ ომში ზურგში მყოფი ხალხი ომს ამსხვერპლებდა არა მარტო თავის ქონებას, არამედ სიცოცხლესაც, ვინაიდან თანამედროვე ომი დედამიწისა და ზღვის პირიდან ჩაემვა ძირს წყალ-ქვეშა და მალა ჰაერში ავიდა თანამედროვე ტენიკის და ავიაციის ვითარებამ დაგვანახა, რომ მათთვის ფონტი უკვე აღარ არსებობს, რომ მათ შეუძლიათ ყოველ დროს შეესიონ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ქალაქსა და სოფლებს და ცეცხლითა და მზოლოდ-შხამიან გაზებით გასწყვიტონ ხალხი. რა უნდა წარეყნოს ამგვარად შემოსულ მტერს? ან შეიძლება თუ არა განისაზღვროს მტრის მიერ მიხნათ აღებულ თავდასხმის პუნქტები? პირველისათვის საჭირო იქნება, საპაერო ძლიერი ფლოტის შექმნის გარდა, ისეთი ძალის ჩამოყალიბება, რომელიც წინააღმდეგა ჰაერიდან შემოსულ მტერს, ოსთავისაც მთელი მოსახლეობა უნდა სამხედრო ხელოვნებაში იყოს გაწვრთნილი, მუდამ ეამს ბრძოლისათვის გამ-

ზადებული და ყოველ საჭირო ალავს სწრაფად შეგროვების უნარის მქონე სამშობლოს დასაცავად. მეორე საკითხიც შეიძლება ცოტათ თუ ბევრად განისაზღვროს, ვინაიდან მტერი აირჩევს ისეთ ქალაქებს და ადგილებს თავდასხმისათვის, რომელთაც მნიშვნელობა ექნებათ, როგორც მასაზრობებელ ბაზებს, საარტილერიო სურსათების საწყობებს, სინტენდანტო საწყობებს და სხვა. აქ მუდამ საჭირო იქნება სათანადო შეიარაღებულ ძალების ყოლა წინააღმდეგობისათვის. ძირითადი არმია არ შეუძლია მთელი მოსახლეობის გაწვრთნა-მომზადება, წარსულ ომის გამოცდილებამ ეს ჩვენ ნათლად დაგვანახა, ძირითადი ჯარი ვერ აკმაყოფილებდა ომის მოთხოვნილებას. ამავ დროს მომავალი ომი აუარებელ მასსების მოთხოვნილებას, უწყველია, წამოაყენებს და ძირითადი ჯარი კვლავ უძლეური აღმოჩნდება.

ამ ამოცანის შესრულება შეუძლია მხოლოდ ახალ სისტემაზედ აშენებულ შეიარაღებულ ძალებს. ასეთი სისტემა იქნება ლაშქროსანი (მილიციონური), რომელიც მთელ მოსახლეობას განუწყვეტილად მიაწოდებს სამხედრო მომზადებას იმ გვარად, რომ სახელმწიფოს ამ დიდ საქმის შესრულება, მძიმედ არ დააწვეს და ამავ დროს საბჭოთა რესპუბლიკები უზრუნველყოფილი იყვენ ყოველ მხრივ საუკეთესოთა და უნაკლებოთ გაწვრთნილ ჯარებით.

ტერიტორიალურ ჯარების ნაწილებში მოქალაქეის მშვიდობიან დროს სახმედრო მომზადებას მიიღებენ და ომიანობის დროს კი ბრძოლაში მიიღებენ მონაწილეობას. ამგვარია ლაშქროსანი ჯარი, რაც პეულისსმობს სახელმწიფოს მთელ ხალხს, შეიარაღებას რომელიც მთელი თავის საშუალებებით და სახსრით მოვალება რესპუბლიკის თავდაცვაში მიიღოს მონაწილეობა.

გ. ბარნაბიშვილი.

# მენუშვიკების ხრიკები.

30 ავისტოს უკანასკნელათ გამოეთხოვა სოც. დემ. მუშ. პარტიას საქ. მუშათა კლასი და პარტია დაშლილათ გამოაცხადა. ეს მოვლენა არალეგალურ ც. კ. სრულიად მოულოდნელი იყო. ამ ყრილობის დიდი იმედი ჰქონდათ მენუშვიკებს, ისინი ფიქრობდნენ, ყრილობაზე თავს მოიყრიან ყველა ჩვენი ამხანაგები, ნახავენ ერთი მეორეს, ჩავერევით მათში ჩვენ, გავამხნევეთ „ამხანაგებს“ და ყრილობას ჩვენდა სასარგებლოთ გამოვიყენებთ. ამ ყრილობის წინ მათ გამოუშვეს ფურცლები, სადაც ამბობდნენ—რამოდენიმე მოლაღატეები, ჩეკისტები და პროვოკატორები, ყოფილი ჩვენი ამხანაგები—მენუშვიკები, ვერ შესძლებენ ბუმბერაზი პარტიის დაშლასო, მაგრამ მათი იმედები სასტიკად დამარცხდა. ამ სასტიკი დამარცხების შემდეგ მათ დაიწყეს ახალი პარტიის შენება ახალი ლოზუნგებით, შოვინისტურ ნაციონალისტურით. არც ერთი სიტყვა სოციალისტური მათ ლოზუნგებში არ მოიპოვება. შესდგა ახალი „ცეკა“. ამ ახალმა ცეკამ არა თუ შესძლო ზოგაერთი დარჩენილი მენუშვიკების შეჩერება, რომ ისინი არ გადმოსულიყვნენ ჩვენსკენ, არამედ ვერ შესძლო თავის



ახალი რევების გამაგრებაც კი არ გაუგლია ერთ თვეს, რომ თავი იჩინა ახალმა რევებამ და ყველა პარტიოსანი მუშები იქიდან გამოიქცნენ ჩვენთან, ყოფილ მენშევიკებთან იმ შეგნებით, რომ ახალი შეთითხნილი პარტია არ არის სოციალისტური. ის არის ნაციონალ-შოინისტური და ასრულებს ევროპის ბურჟუა-კაპიტალისტების დავალებას. პარტიოსანი რევოლუციონერები ჩვენსკენ წამოვიდა. მოლა-ლატეები საქართველოს შშრომელი ხალხის, რომელთაც უნდოდათ ინტერვენციის საშვალე-ბით სისსლში ჩაეხრჩოთ ქართველი შშრომელი ხალხი და გაენადგურებიათ მუშათა დ გლესთა მთავრობა, იქ დარჩენ. ახლა ზოგიერთი ავანტი-ურისტები დარაშვიან და ავრცელებენ ტყუი-ლებს, ვითომ პარტიის დაშლა თვით მენშევი-კების საქმე იყო, პარტია ნამეტანი გაიბერა და საქრო იყო მისი დემოზილიზაცია, ვადარ-ჩევიყო. დემოზილიზაციის სათავეში ჩაუდგენ ჩვენი დავალებით ჩვენი ყოფილი ამხანაგები იმ აზრით, რომ ეს ძალა შემოინახონ „რეზერ-ვში“, მათ დაევალოთ გაანთავისუფლონ ცი-ხეებიდან პოლიტიკურები, დააბრუნონ გადასა-ხლებულები საქართველოში, ისინი ჩვენი არი-ან და ვინც მათ მისდევთ, რასაკვირველია, ისინიც ჩვენი ხართო. ალბათ ამ ტყუილების შედეგი იყო ამ კვირაში ამხ. ფარნიევს ცი-ხეში ასეთ კილოზე, რომ ესაუბრებოდა ტუსა-ლები. მათი სიტყვებიდან სჩანდა, რომ ვითომ ამხ. ფარნიევი ვალდებული იყვნ ყველა გამო-უშვას ციხიდან. მაგრამ, როცა ფარნიევმა უთ-ხრა: მე და ჩემი ამხანაგები სრულბათ შეგნე-ბით დავდექით კომუნისტურ გზაზე, ბევრი ჩვენგანი პარტიაში ჩაეწერა, დანარჩენები კომ-პარტიის გარშეხო ირანშივალი, ეს სრულებით მოულოდნელი აღმოჩნდა მათთვის. ამხ. ფარ-ნიევმა აშკარათ განუცხადა მათ, ვინც პარტიო-სანი შშრომელია და წმინდა გულით ვადმოვა ჩვენს პლატფორმაზე, მხოლოდ იმათთვის გა-ილება ციხის კარებიო. აი ასეთია ჩვენი პასუხი მენშევიკების ტყუილებზე.

ქ. თოფაძე.

სოციალური დაზღვევა საბჭოთა საქართველოში.

დღი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც წარ-მოიშვა ტერმინი „სოციალური დაზღვევა“. პირველ ხანებში იხმბარებოდა სხვა გამოთ-ქვები, რომლებიც არ იტყვდნ ასეთი ფართე შინაარსს. ლაპარაკობდნ „მუშათა დაზღვევა-ზე“, „სახელმწიფო მუშათა დაზღვევაზე“ და სხვა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოირკვა ჭეშ-მარიტი როლი ამ ინსტიტუტის სოციალური ევოლუციოში, ძველი ტერმინოლოგია აღმოჩნდა ვიწრო და შეუმუავებელი იქნა ტერმინი „სო-ციალური დაზღვევა“.

რას ნიშნავს ტერმინი „სოციალური დაზ-ღვევა“? ჩვენ ვიცით, რომ ყველა იმ საშუალებ-ებს, რომლებიც მიმართული არიან საზოგადო-ებრივი წესის შეცვლისაკენ, უწოდებენ „სო-ციალური“ ღონისძიებებს, „სოციალურ“ რე-ფორმებს. ის გარდატეხა, რომელმაც უნდა შესცვალოს თანამედროვე საზოგადოების ეკო-

ნომიური სტრუქტურა იწოდება, „სოციალური“ რევოლუციოთ საზოგადოების ფართო მასების სილატაცე, რომელიც შკიდროთ დაკავშირებუ-ლია კაპიტალისტური საზოგადოების ბუნებას-თან, არის „სოციალური სენი“ და სწორეთ ამ აზრით დაზღვევაც, რომელიც მოწოდებულია ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად, იწოდება „სოციალურ დაზღვევათ“.

დაზღვევის ისტორია იწყება უფრო მეტად დაწინაურებულ ევროპის კაპიტალისტურ ქვე-ყნებში—ინგლისში და საფრანგეთში მე-XIX საუკ. ნახევრიდან. მე-XIX საუკუნის განმავლო-ბაში დაზღვევის ორგანიზაცია წარმოიშვა თითქმის ყველა კულტურულ ქვეყნებში, რასაც არ ჩამორჩენია რუსეთიც. თუმცა რუსეთში უმთავრესად დაზღვევათ კანონ-პროექტების წარმოშობა იწყება 1904 წლიდან, მაშინდელი ამბების ზეგავლენით მთავრობა დასთანხმდა მუშათა დაზღვევის ინსტიტუტის შემოღებას.

ეს კანონ-პროექტი 9 წელიწადს ირჩოდა მრავალი ათეული კომისიებში, ხოლო შემდეგ ასეთი წამებისა, მესამე მორჩილა სახელმწიფო დღეამ მიიღო ეს დასახიჩრებული კანონ-პროე-ქტი და ამრიგად მივიღეთ მეფის სოციალური დაზღვევა. ამის შემდეგ პირველი საავადმყოფო კასა გახსნილი იქნა პეტროგრადში, ხოლო შემდეგ რუსეთის მსხვილ ქალაქებში, როგო-რიც იყო მოსკოვში, სარკოვში, კიევი და სხვაგან. ეს საავადმყოფო კასები მთავრედნ თავის ვალტაებულ არსებობას წლების განმავლობაში და ამრიგად მიღწეის ოქტომბ-რის რევოლუციომდლს. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ფართოდ გაიშალა ბოლშევიკური დაზღვევის პროგრამა წინააღ-მდეგ ჩვენი ყოფილი მენშევიკური პროგრამისა.

მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი სოცია-ლური დაზღვევისა ამბობს: „დაზღვეულთა საარსებო ღონის შენახიუნება“. აი ეს მთავარი პრინციპი ტარდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ მუშათა და მოსამსახურეთა დაზღვევაში ავადმყოფობის შემთხვევებში, ინვალიდობის, სიკვდილის, მოხუცებულობის, მშობიარობის, უმუშევრობის და ავრედვე ენმარებიან დაზ-ღვეულთა ოჯახებს.

თუ ჩვენ განვიხილავთ ყველა იმ ფუნქციებს სოციალური დაზღვევისას, რომელსაც ანხორ-ციელებს საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენ დავ-რწმუნდებით, რომ დიდათ გავასწართ ჩვენ ამბრივ ევროპის სახელმწიფოებს. რასაკვირვე-ლია, მენშევიკური საქართველოში ჩვენ არ გექონდა ისეთი ფართე დახმარება მუშათა და მოსამსახურეთა, რომელსაც ესლა აქვს ადგი-ლი. თუ მუშა ან მოსამსახურეთა გახდა ავად სმ-ნამ იგი არ მორჩება მანამ დღიდან ავადგა-დომისა დაზღვევი კასა აძლევს მას მისი შრო-მის ხელფასს. თუ კი ავადმყოფობის პროცესში გამოირკვა, რომ შერყეული ჯანმრთელობის აღდგენა შეუძლებელია—ავადმყოფი ვადო-რიცება ინვალიდათ ანუ იგი მივირიცება იმ კატეგორიას მუშათა, რომელთა შრომის ნა-ყოფიერება დაკეპულია და მას ენიშნება სა-მუდამო პენსია, რომლის სიდიდე დამოკიდე-ბულია ინვალიდობის ხასიათზე. სიკვდილის შემთხვევებში დაზღვევი კასა აძლევს მისი ოჯახს დასამარხავ თანხას და ტაობლებული ოჯახს უნიშნავს პენსიას, თუმცა მცირე რაო-

დენობას, რომელიც არა სრულიად უზრუნველ-ყოფს ოჯახს, მაგრამ ერთგვარად მიიწე აძ-ლევს საშუალებას ძირსებას.

რაც შეეხება დაზღვევის მშობიარე ქალთა მიმართ იგი ვაშინატება შემდეგში. დაზღვე-ვი კასა აძლევს დახმარებას სრული შრომის ხელფასის სიდიდით 6 კვირის განმავლობაში მშობიარობამდე და 6 კვირა შემდეგ. ვარდა ამისა დაბადების შემდეგ დაზღვევი კასა აძ-ლევს განსაზღვრულ თანხას დახმარების სახით „ბავშვის მზითვის“ შესაძენათ. ძუძუს წოვის პერიოდში ქალს ესაკიროება ვადმყოფული კვება და აქვს გათავალობისა რა ქალის მი-მე მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლებამ, და-ადგინა მისცეს დედას დახმარება 9 თვის გან-მავლობაში, დაზღვევი კასა ვარდა ამისა ეხ-მარება როგორც დედას, ისე ბავშვს ექიმითა და წამლებით.

უმუშევარი დაზღვევი კასა ენმარება ფუ-ლადი განაკვეთის მიცემით 5 საქონლის მანე-თით თვეში (კვლიფ. მუშებს), ხოლო დანარ-ჩენებს მცირე ნაკლებით, ავრედვე ენმარება ქალებს მშობიარობის სიკვდილის დროს და სხვა; ათავისუფლებს სამოქალაქო გადასახადი-სავან, აძლევს უფასო კომუნალურ დახმარებას, როგორც არის გათავისუფლებულია პინის ქირი-დან, წყლის გადასახადიდან და აქეთ სრულიად უუასო საექიმო დახმარება.

დაზღვევი კასა ენმარება ავრედვე დაზღვე-ულთა ოჯახის წევრებს უუასო საექიმო დახ-მარებით. აქვე აღსანიშნავია სწრაფი დახმარე-ბა ბუცარ შემთხვევებში, ამბულატორული დახ-მარება, ექიმობა შინ, საავადმყოფო და სანი-ტარულ-კურორტული ექიმობა, ავრედვე სა-ბებით დახმარება ყოველგვარი სახით. დასას-რულ ავადმყოფობისა და ინვალიდობის შემ-თხვევებში ჩვენში აქტევენ ყურადღებას ავ-რედვე სოციალური დაზღვევის ერთ ფუნ-ქციას—პროფილაქტიური ფუნქციის ანუ ფაფ-რთხილება ავადმყოფობათა და ინვალიდობი-სა. წინააღმდეგ ამისა საავადმყოფო კასა ავრცელებს გიგინურ დარიგებებს, ცდილობს გააუმჯობესოს ბინებისა და შრომის პირობები, ზრუნავს ბავშვის ჯანმრთელობაზე, აწყობს სანატორიებს, საზაფხულო ახალშენებს და სხ. რამდენი მუშა და მოსამსახურეს იტყვს ეს სო-ციალური დაზღვევა, როგორ უნდა იქნეს იგი შემდეგში განვითარებული და რამდენი უჯდე-ბა ეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლე-ბას, ამაზე შემდეგ.

ვ. აღიანაშვი.

პაპიზალიზმის დასასრული და სოციალიზმის დასაწინის სპეკა.

1. ფინანსიური კაპიტალი, — როგორც კაპიტა-ლიზმის უკანასკნელი ფაზა; იმპერიალიზმი და სოციალიზმი.

სამეურნეო ცხოვრების შინაგანმა ძალამ-კონ-კურენციამ კაპიტალისტური წარმოების გან-ვითარებას ფართო გასაქანი მისცა, წარილი მწარმოებელი გაიქცა ბაზრიდან, რადგან ვერ



ვაუძლო მსხვილი მრეწველობის მეტოქეობას. კონსტრუქციის ძალამ თავისი ვაგლენა შიშინა და მსხვილ მრეწველობაზედაც, რის გამო უკანასკნელის რიგები საგრძობლათ შემცირდა. ამ გზით მოხდა კაპიტალის მობილიზაცია სინდიკატებსა და ტრესტებში, რომელიც ერთიანად დამოკიდებული შეიქმნა რამოდენიმე ბანკისაგან. კაპიტალმა თავისი განვითარების პროცესში განვლო ორი საფეხური: სავაჭრო და სამრეწველო; ესაა კი ბატონობის ყველაზე უფრო განვითარებული და სრული ფორმა კაპიტალიზმისა—ფინანსიური კაპიტალი. სავაჭრო კაპიტალმა წარმოიშვა სამრეწველო კაპიტალი, რომელსაც დიდხანს ეჭირა პირველი ადგილი წარმოებაში. სამრეწველო კაპიტალი ქმნიდა დიდხანს ლირებულებას, რომელიც უთანასწოროდ ნაწილდებოდა საზოგადოების სხვა დასხვა ჯგუფთა შორის და ამა თუ იმ სახით გროვდებოდა და ინახებოდა. სამრეწველო კაპიტალის განვითარებისა და ზრდის პირობებში სრულიად ბუნებრივად წარმოიშვა მისგან ფინანსიური კაპიტალი, უკანასკნელი სახე კაპიტალიზმისა. კრედიტის განვითარების თანავე, როცა ფულმა მიიღო თანამედროვე მნიშვნელობა, როდესაც ფულის რაოდენობაში გამოიხატა მატერიალური შეგნება, ყველამ მიაჩიო ხელი ფულის გამოჩენას და მის შენახვას. ბანკები გადიდრდნენ, მათში დაგროვდა აუარებელი ფული, რომელიც სესხად გაიყენებოდა ამა თუ იმ კაპიტალისტებზე. ამგვარი ბანკი აუარებელ მოგებას იღებდა და რადგან თვით ბანკის მონაწილეთ რჩებოდათ მოგება პროცენტების სახით, ფულის შემქნათა რიგები ძალიან გაიზარდა. უკანასკნელად ბანკებში დაგროვდა იმდენი საფინანსო კაპიტალი, რომ მისი მოვალენი შეიქმნა არა მარტო კაპიტალისტები, არამედ თვით სახელმწიფონიც, რომელნიც სესხულობდნენ ფულს ამ ბანკებიდან. რამდენათ მეტად გაძლიერდა მრეწველობა, იმდენად საჭირო გახდა ბანკები, როგორც ფინანსიური კაპიტალის მქონე დაწესებულებანი. ასე, ამ გზით ბუნებრივად წარმოიშვა თანამედროვე ფინანსიური კაპიტალი, რომელიც დიდიხანს და გაბატონდა წარმოებაში და მთლად დაიპყრო სამრეწველო კაპიტალი. სამრეწველო კაპიტალის ფინანსიურად გარდაქმნის პროცესის შესახებ ლენინი სწერს („იმპერიალიზმი, როგორც თანამედროვე საფეხური კაპიტალიზმისა“) „საერთო კაპიტალიზმის თანდაყოლილი თვისებებია, საკუთრება კაპიტალზე იყოს გამოიჯნული კაპიტალის მოხმარებისაგან, სავაჭრო კაპიტალი თანდათან შორდებოდა სამრეწველო ანუ საწარმოო კაპიტალს“.

შეიძლება გვეფიქრა, რომ ფინანსიური კაპიტალის გაბატონება ნიშნავს სამრეწველო კაპიტალის მთლად გაქრობას. ასე მოხდა, მაგალითად, როცა სავაჭრო კაპიტალი სამრეწველოთ შეიცვალა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ საქმე გვაქვს ფინანსიური კაპიტალის სამრეწველო კაპიტალის განვითარებისთან—ეს არ ხდება, ე. ი. სამრეწველო კაპიტალი არ კარგავს თავის მნიშვნელობას. პირიქით, ფინანსიური კაპიტალის ზრდა ნიშნავს სამრეწველო სფეროს უარესად განვითარებას, მის არსებობას. ამ რიგად სამრეწველო კაპიტალი არის რეალიზაცია ფინანსიური კაპიტალის ლირებულებათა. ფინანსიური კაპიტალის არსებობა ნიშნავს საწარმოო შესაძლებლობათა უარეს განვითარებას.

თავისი ისტორიული განვითარების დროს კაპიტალი მისწრაფის განსაზღვრული ტერიტორიის საზღვრებს გასცილდეს. ეს მისწრაფება პრაქტიკულად განხორციელების დროს რამოდენიმე სახეს ლეგულობს: კაპიტალი სალდება სავაჭრო ბაზარზე ან საქონლის, ან თავისუფალი ზედმეტი კაპიტალის სახით. ამის შესახებ ამბობს პარუსი: „კაპიტალიზმი მიისწრაფის ახალ-შენებისაკენ არა იმისათვის, რომ მიიღოს რამე (ეს ხდება შემდეგ), არამედ იმიტომ, რომ კაპიტალისტური ევოლიუცია აიძულებს გაიტანოს ქვეყნიდან ზედმეტი კაპიტალი, ეძებს თავისათვის დაბადების სფეროს. („კოლონიალური პოლიტიკა“ გ. 21-22.) რადგან კაპიტალისტური წარმოება მოუწყესრიგებლად და უანგარიშოთ ამზადდება აუარებელ საქონელს, საჭირო ხდებოდა ახალი ბაზრების გაჩენა, სადაც შესაძლებელი გახდებოდა ამ საქონელის გასაღება. მაგრამ, რადგან რამოდენიმე სახელმწიფო ეცილებოდა ერთი მეორეს, საჭირო იყო თავის ბატონობის იარაღის საშუალებით დამკვიდრება. ამის გამო სახელმწიფოს აპარატი სამხედრო ძალის აპარატად გადაიქცა, მილიტარიზმმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია, კაპიტალისტური ქვეყნებში თოფ-ზარბაზნებით და ჯავშნოსებით შეიარაღდნენ. ამ მისწრაფებას ანექსიისაკენ, ამ ლტოლვის თავისი ტერიტორიის გაფართოებისა და დაპყრობილი ტერიტორიების მეტროპოლისის მიერ პოლიტიკურად და ეკონომიურად დამონავეებისაკენ—ეწოდება იმპერიალიზმი. „იმპერიალიზმი, ამბობს ლენინი, არის კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადია, იმპერიალიზმი არის ფინანსიური კაპიტალისა და მონოპოლისის ეპოქა, რომელსაც ყოველგან მიაქვს მისწრაფება ბატონობისაკენ და არა თავისუფლებისაკენ“.

განსაკუთრებით მწვედვება აგრეთვე ნაციონალური ჩაგვრა და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება (რადგან ანექსია არის არა სხვა რამე, თუ არა ერის თვითგამორკვევის დარღვევა. აშკარაა, რომ ფინანსიური კაპიტალი ყველაზე უფრო მეტად და ძლიერად არღვევს ნაციონალურ მიჯნებს, ვიდრე სავაჭრო ან სამრეწველო კაპიტალი, ედება მთელ დედამიწას და შეაქვს ყველგან თავისი ეკონომიური და აგრეთვე პოლიტიკური ბატონობა. დღეს არ არის კუთხე, სადაც არ გაისმოდეს ევროპული ენა და არ შეხედეთ ევროპის წარმოების საქონელს. ამ რიგად კაპიტალიზმის განვითარების თვისებებშია პირობებმა საფუძველი ჩაუყარეს იმპერიალისტურად კოლონიალურ პოლიტიკას. კოლონიალურ ომებს მთელი ისტორია აქვთ. ამა თუ იმ მსუქანი ადგილის გამო, როცა იმის გამო ერთმანეთს ეცილებოდა რამოდენიმე სახელმწიფო, ხშირათ საშინელი ომი ამტყდარა. ასე ხდებოდა მაშინ, როცა ნაპერიმეტად მიმოხედველი იყო, სხვა შემთხვევაში-კი ხდებოდა მშვიდობიანი დიპლომატიკა, მით უფრო მაშინ, როცა სადაც ადგილი დიდ იყო და შეიძლებოდა ორივე მოქიშვე მხარის დამაყოფილება. დღეს

მთელი ქვეყანა უკვე განაწილებულია სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის.

უკანასკნელი ომი—იყო მისწრაფება ახალ-შენების ხელახალი გადამიჯნვისაკენ. რადგან დასაპყრობი ადგილი აღარად სჩანს. ამ ომის წამოწყების მიზეზი უმოთხრესად გერმანია იყო, საერთოთ ცენტრალური სახელმწიფოები; ისინი თავისი მდგომარეობით დაშორებული იყვნენ საზღვაო გზებს და, ცხადია, გვიან განვითარდებოდნენ; მათ შორის ავსტრიის ახალ-შენები სრულებით არა აქვს, მაშინ, როდესაც იტალია, შედარებით ეკონომიურად უფრო განვითარებული ქვეყანა, საკმაოდ ფლობს ახალ-შენებს. ამიტომ იყო, რომ ცენტრალური სახელმწიფოები უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ იმისათვის.

დღეს იმპერიალისტური ბურჟუაზია გამოუვალ ცეცხლის რკალშია მოქცეული, მას არ ძალუძს მშვიდობიანობის დამყარება და ეს წინააღმდეგობანი, პროლეტარიატი, კაპიტალისტთა კლასის მესაფლავენის პოზიციებს უფრო ამარგებს და მას გამარჯვების იმედებს გვეგრის. ამ მოსაზრებით სწერდა კაუტსკი, რომ მსოფლიო ომი იმპერიალისტური პოლიტიკით გამოწვეული, სულ ადვილი შესაძლებელია წინ უძლოდეს სოციალისტურ რევოლუციასო“ (კაუტსკი „სოციალური რევოლუცია“).

იმპერიალიზმი, როგორც დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, სადაო საკითხად გახდა და მიზეზი შეიქმნა სხვა და სხვა შეხედულების წარმოშობისა.

კერძო გერმანიის სოციალ-დემოკრატია ამ კითხვის ირგვლივ სამათ გაიყო; პირველი ჯგუფი, მემარჯვენეები, რომელიც კუნოვის მეთაურობით გამოდგინდა, იმპერიალიზმს სთვლის აუცილებელ პროგრესულ მოვლენათ და თითქმის მას მხარს უჭერს. ამხ. ლენინი ამის შესახებ სწერს: „ეს იმ კარკატურას წააგავს, რომელსაც 1894 წ. რუსი ნაროდნიკები ხატავდნენ, თუ მარკსისტები კაპიტალიზმს რუსეთში აუცილებელ და პროგრესულ მოვლენათ სთვლიან, უნდა გააღონ სამიკიტნო და ამით ხელი მოუწყონ კაპიტალიზმის განვითარებასო“. მეორე ჯგუფი („ცენტრი“) კაუტსკის მეთაურობით არ სთვლის აუცილებლათ იმპერიალისტურ პოლიტიკას და მოუწოდებს პარტიას მასთან აქტიურ ბრძოლისაკენ. მესამე ჯგუფი კი—მემარცხენე, რომლის მეთაური ბროზა ლიუქსემბურგი იყო, იმპერიალიზმთან ბრძოლას უტომათ და უნაყოფიო სთვლის, თუ ძირიანათ არ შეიცვალა თვით წესი კაპიტალისტური წარმოებისა; იმპერიალიზმს-სოციალიზმი უნდა დაუბრუნდებოდეს მათი აზრით. და მართლაც, თუ აქამდის ვინმეს კიდევ სჯეროდა, რომ შესაძლებელია იარსებოს ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა და იმპერიალისტურ პოლიტიკას არ ქონდეს ადგილი, დღეს, მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც ფაქტიურად ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ არ არის ძალა, (ვერც II-ინტერნაციონალის „დემოკრატია“ გამოდგა ასეთ ძალათ), რომ შეაგვეცოს ფრთები იმპერიალისტურ ბურჟუაზიის მისწრაფებას. და სანამ იარსებებს არსებული წესწყობობა, მანამ-მის მსოფლიო არ არის დაზღვეული ახალი იმპერიალისტური ომებისაგან. როცა კაუტსკის



პარტია შესაძლებლად სთვლის იმპერიალიზმთან ბრძოლას, მას სახეში სრულიად არ აქვს ახალშენების როლის გაეარწყვლება, კავსკის პარტია თეორიაში სცდილობს ვითომ ჩამოაპროლოს კაპიტალისტური სახელმწიფოები იმპერიალისტურ პოზიციებს (დღეს კი პრაქტიკულად წინააღმდეგ იქცევიან) და თავისუფლად, მშვიდობიანად გამოიყენონ ახალშენები. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა იგივე დარჩება, როგორც იყო. ისინი კვლავ ექსპლოატაციის ობიექტია უნდა დარჩენ. მხოლოდ ალბათ ნაგულისხმევია კავსკიანელების აზრით, რომ ექსპლოატაციის ხარისხი უფრო დაბალი იქნება, მაშასადამე პრინციპი პრინციპად რჩება, იმპერიალიზმი კვლავ განაგრძობს თავის საქმეს, სანამ მისი მატარებელი სუბიექტი ფინანსური კაპიტალი, არ დამხობილა. მაშასადამე, გარეშე სოციალიზმისა წარმოუდგენელია იმპერიალისტური პოლიტიკის მოსპობა.

პროლეტარის პასუხი ფინანსური კაპიტალის ეკონომიურ პოლიტიკაზე, იმპერიალიზმზე, შეიძლება იქნეს არა ვაჭრობის თავისუფლება, არამედ მხოლოდ სოციალიზმი... სოციალიზმი, როგორც ერთად ერთი პასუხი იმპერიალიზმზე, უნდა წამოიჭრეს პროპაგანდის პირველ რიგში“ (რ. პილვერდინგი „ფინანსური კაპიტალი“ გვ. 567).

ამასვე ადასტურებს კავსკი. ის სწერს: „სოციალიზმი ეხლა გახდა უკვე ეკონომიური აუცილებლობა, მისი დამყარების ვადა მხოლოდ ძალის საკითხია. პროლეტარიატისათვის ამ ძალის მიცემა ორგანიზაციისა და განათლების შემწეობით—ეხლა სოციალ-დემოკრატიისათვის ყველაზე უფრო დიდ მნიშვნე-

ლოვან ამოცანას წარმოადგენს. არაფერი არაა უსაკვირველესი იმაზე, ვიდრე ის სოციალისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქარო არის კიდევ მზარუნველობა კაპიტალიზმის ძალთა შემდგომი განვითარებაზე“. (კ. კავსკი „სოციალიზმი და კოლონიალური პოლიტიკა, გვ. #7, 1907 წ.).

ასე ამზობდა 1907 წელს კავსკი, რომელმაც 1914 წლიდან სულ სხვა პანგებზე დაიწყო მღერა.

ახალი ერის დადგომის შესახებ სწერს მადონალდიც (სოციალისტური მოძრაობა, გვ. 61.) „ეს—გუგულის კერტებია, დადებული კაპიტალიზმის მიერ საკუთარ ბუღეში. ყოველი ებოჟა შობს იმ იდეებს, რომლებსაც მიყვით ის მის დაღუპვისაკენ. მსგავსათ იმისა, როგორც ეკრანზე ერთი გამოხატულია მკრთალ ფერს იღებს, როდესაც მეორეთი იცვლება, ისე კაპიტალიზმი ქრება და უფრო და უფრო გარკვეულად მოსჩანს სოციალიზმის კონტურები“.

ასეთია დახასიათება თანამედროვე მდგომარეობის, როცა ფინანსური კაპიტალი, ეს უკანასკნელი საფეხური კაპიტალიზმისა, რომელმაც უკვე ამოსწორა თავისი განვითარების და შემოქმედების ყველა წყაროები, მწვავედ ააშკარავებს საზოგადოებრივ წინააღმდეგობებს, რომელთა სენისაგან განკურნა თანამედროვე საზოგადოების, მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია. და პროლეტარიატიც დღეს ვალდებულია სოციალიზმის განხორციელებას შეუდგეს, რათა თავი დაახწიოს გასაკეცებულ ექსპლოატაციას.

ა. ქანთარია.

**მუშათა კლასის მტრები უნდა აიღაზგონ.**

(საბჭოთა მოსამსახურეთა პროფკავშირის გამგეობის საუწყრობებით.)

ჩვენს მუშათა რიგებში ჯერ კიდევ არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც თავიანთი დეპარტამენტი ენებით დაძვრებამ და ავტორიტეტის ეწვეიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოკალათებულნი არიან საუკეთესო ადგილებზე. ამ გზა დამნეულ, ინტრიგით გამსჭვალულ თეთრ ბელეზიან ინტელიგენტებს სურთ ანკარა წყარო აამღვრონ.

გარდა ინტელიგენტისა მუშებშიაც მოიპოვებიან ასეთი არა სასურველი ელემენტები, არამც თუ ეს მოქმედება შეუგნებლემს მოსდით, არამედ შეგნებული მუშებიც სჩადიან და თავიანთი გზა აბნეული საქციელით დეზორგანიზაცია შეაქეთ მუშებში, ამ მუშებს თავიანთი თავი მოწინავე მუშებთ მოაქეთ. რაშია საქმე?

როგორც მოგვხსენებთ, პროფკავშირი იცავს თავის წევრებს და თუ კავშირის წევრი უმუშევრათ დარჩა შტატების შემეცირების გამო, ის აღრიცხავზე აყავთ შრომის ბირჟაში, როგორც უმუშევარი და აქ იგი დაზღვეულია და ისეთივე უფლებები სარგებლობს, როგორც მუშა-მოსამსახურე კავშირის წევრი. უპირატესობა კავშირის წევრს ეძლევა და პირველ რიგში მიზონელებსამებრ სამუშაოდ კავშირის წევრი იგზავნება.

მანამ, სანამ სამუშაოზე ვაიგზავნებოდეს უმუშევარი, მისთვის არსებობს კავშირის მიერ დაარსებული სასაქონლო და აქ უუასოთ სარგებლობს სადილით. ერთი ასეთი სასაქონლო აქვს დაარსებული საბჭოთა მოსამსახურეების კავშირს, სადაც 500 კაცამდე უმუშევარი სარგებლობს სადილით.

აქვე არის დაარსებული პოლიტიკური ქალთა და სხვა წრეები, აი ამ შრომის ბირჟაში კვლიაფიციური მუშების კავშირის წევრებთა შორის ჩარეულია შავნელი ძალები, ძველი ჩარჩავები, სპეკულიანტ-მაკლერები, რომლებიც დილიდან საღამომდე ერთგნის მოედანზე აღამებენ.

და პროფკავშირი, როგორც თავის ორგანოს გამგანსალებელი შრომის კომისარიატთან შეთანხმებით შეუდგა ვაწმენდას ასეთი შავნელ ძალებისა.

და აი სწორეთ ამ ვაწმენდი კომისიის მუშაობას ხელს უშლის ერთი ჯგუფი, რომელსაც თავისი მოქმედებით დეზორგანიზაცია შეაქეთ უმუშევართა შორის.

იკრებებიან საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირის სასაქონლოში, ჩუმ-ჩუმათ რაღაცაზე დუღუნებენ, ადგენენ კომიტეტებს, აძლევენ მანდატებს ვილატებს და გზავნიან ვაწმენდი კომისიის წევრათ, რაც მიუღებულა. წერილობითი „ატეოდებს“ აძლევენ ამა თუ იმ პირსა და როცა დაინახვენ მათი „ატეოდი“ არ სჭირს, წერილობითი ისე უკან მიაქეთ თავიანთი სიტყვა და სბ.

ამ ჯგუფის ინიციატორნი არიან ამ კავშირის წევრები უმუშევრები ალაბიანი, ისბანოვი და სხვები, ამ ალაბიანს კავშირი იცნობს და რა-

**მუშათა წერილები**

**ფიქრები ხმა მალდა.**

მენშევიკების რიგებში დარჩენილ ზოგიერთებისაგან ხშირად გვემის, რომ ისეთი ნახტომი მუშათა მოძრაობაში, როგორც ვაკეთა საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტიის ყრილობამ, ჩვენთვის მიუღებელია. გამოდის, რომ ისინი მომხრე არიან თანდათანობისა. მე ფიქრობ, რომ ჩვენ თვით ცხოვრება ვააიძულებს ასეთი ნახტომები გავაკეთოთ და ამდენადვე ეს ნახტომები ობიექტიური ღირებულებებისაა.

სასაცილო იქნებოდა, რომ მარქსისტები მუდამ ერთ ალაგას მტკვნელი ყოფილიყვნენ. მარქსისტული თეორია ერთი ადგილის ტკეპნას არ გვასწავლის. ჩვენ ამ ჟამად განვიცდით პრაქტიკულ რევოლუციონურ პერიოდს და ამიტომ მუშათა მოქმედება, ფიქრი და აზრი არ შეიძლება ერთ წერტილზე გაიყნოს.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია და მარქსისტული ის ნაბიჯი, რომელიც გადადგა საქართველოს სოც. დემოკრატიულმა პარტიამ 25-30 აგვისტოში, და რომელსაც სდგამს ამ ჟამად რუსეთის სოც. დემოკრატიული მუშათა პარტია.

იყო დრო, როცა ისე მწვავედ არ იდგა კლასობრივი ბრძოლის საკითხი, როგორც ის

ეხლა სდგას. ამიტომ დღევანდელ პირობებში მუშათა კლასს არ შეუძლია გულ-ხელ დაკრეფილი იყოს და უცადოს ბრძოლის შედეგს. არა, მუშებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ ბრძოლაში.

დღეს ამ ბრძოლას აწარმოებს და უძღვება საბჭოთა ხელისუფლება. ამიტომ მუშებს არ შეეძლოთ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ წასულიყვნენ. პირიქით, მათი ინტერესები მოითხოვდნენ ამ ხელისუფლებასთან ყოფნას და კიდევ ასე მოხდა.

თუ ჩუქვირდებით, ყველასათვის ნათელი გახდება, რომ ის „ნახტომი“, რომელიც მუშათა კლასსმა ვაკეთა, იყო დროული, მიზანშეწონილი და მუშათა კლასისთვის სასარგებლო. მუშა ლაკინი.

ჩენი ჟურნალის ამ ნომრიდან გვექნება განყოფილება, სადაც მოთავსებული იქნება სპეციალურად მუშათა წერილები. ამხანაგებს ესთხოვთ მოგაწოდონ მასალები და წერილები ამ განყოფილებისათვის მუშათა ცხოვრებიდან, რედაქცია სთამოვნებით დაუთმობს ადგილს ყველა იმ წერილებს, რომლებშიაც აღნიშნულ იქნება სისწორით ფაქტი ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს ღირსება—ნაკლულე ვანების შესახებ **ჩაქ.**



ტომ ყურადღებებს არ აქცევს, არ ვიცით. ჯერ კიდევ შარშან 25-ნოემბერს 1922 წ. პატარა თეატრში (რუსთაველ. პრ.) უმუშევართა საერთო კრებაზე, სადაც ყველასათვის დამაკმაყოფილებელი მოხსენება გააკეთა ბირკის გამგე აზმ. ჯორბენაძემ, იმ ერთ გჯუღს ალაიანის მონაწილეობით უნდოდა. ხელში ჩაეგდო შრომის ბირკა და წინააღმდეგ გაილაშქრა.

ამ გჯუღმა წინადადება შემოიტანა, რომ ბირკაში დაარსდეს მესტკომი ანუ კომიტეტი, მაგრამ საერთო კრებამ ეს წინადადება არ მიიღო. დღესაც არა სძინავს ამ გჯუღს. კეჭორმა ამას უნდა მიაქციოს ყურადღება. საქარა ამას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს. ვინც ჩვენი მტერია, ის ჩვენივე არ უნდა იყოს.

გიორგი კატორღელი.

**ნუ დაივიწყებთ სოფელსაც!**

უკვე ოთხი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც მენშევიკურმა მოწინავე მასამ სთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა და დასრულდა სალიკვიდაციო ყრილობა. ჩვენი ვალია გავაცნოთ სოფლის გლეხობას ჩვენი გადაწყვეტილება: თუ რა გვაკეთეთ და რა გვაქვს კიდევ გასაკეთებელი. საქარა დაგვხანძროთ ამხანაგები საქართველოს ყოველ კუთხეში და გავაცნოთ გლეხებს რა გაკეთებულა და რა გვიდგა მორიგ საკითხთა, ჩვენი ვალია გავაშუქოთ მათ წინ სიტყვით, თუ ჩვენი ორგანოს საშუალებით ის ამოცანები, რომელსაც ყრილობის შემდეგ ჰქონდა ჩვენში აღდგოლი, რომ ჩვენი მუშაობა ამა თუ იმ სფეროში არის სწორი. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დღესაც არის დარწმუნოლი ისეთი კუთხე საქართველოს პროვინციაში, სადაც არა იციან თუ რა მოხდა ჩვენში და რატომ მოხდა ეს.

ჩვენი ორგანო „სიმართლის ხმა“ ფართოთა უნდა იქნას გავრცელებული გლეხებშიც და გლეხობა უნდა ჩავაბათ ჩვენს რიგებში. ყველგან უნდა მივიდეს ჩვენი სიმართლის ხმა. \*)

ონისიმე ყანდარღელი.

**სტოკჰოლმის ლოლიკა.**

ქარლ-მარქსი, ენგელსი-ლენინი, ეს მსოფლიოს მუმენტარაზნი მისთვის გადაქცეულან მსოფლიოს შრომელთა მუდამ მნათ მონუმენტათ, რომ მათი ნააზრვეი თვითცხოვრებაა—ცხოვრება, რომელიც მთლიანათ ისახება მათ შემცვენებაში.

და აი, სდგანან ეს მსოფლიოს სამი ბელადი შრომელთა სადარაჯოზე და მოუწოდებენ ყველა ქვეყნის შრომელთ: მომეტე გადამწყვეტი ბრძოლისა მოახლოებულა, ყველა ქვეყნის შრომელთა ეზადეთ გადაწყვეტ

\*) უკვე მიღებულია ზომები, რომ „სიმართლის ხმა“ იგზავნებოდეს პროვინციის ყოველ კუთხეში და თუ სადმე არ მიდის, ამხანაგები მოვილენი არიან ეს გვაცნობონ.

რედ.

ბრძოლისათვის. ვისაც ეს ხმა არ ესმის—ვისაც ეს მოწოდება არაფერს უტუნება, ის გზას გადაცდენია. მარქსიზმის სილიადე ამა თუ იმ დოქტრინალურ საკითხის გადაჭრაში კი არ ისახება, არამედ ცხოვრების რეალურათ ათვისებაში.

ჩვენთვის ესა თუ ის პრინციპი გარდაუვალი კატეგორია კი არ არის, არამედ საშუალება, შრომელთა სამეფოს მისაღწევათ.

ვისაც ეს არა სწავს, ის დოგმატიკოსია. უთუოდ სოციალიზმის მომავალი მემბტიანე შავი ასოებით აღბეჭდავს ეხლა სოც.-დემოკრატიული მე-II-ე ინტერნაციონალის საქმიანობას.

ყოველ ახალ მოვლენას აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ეს გძძელი შარა, ისტორიის ენტაგების, იმ მეცენარესა ჰგავს, რომელიც ცვლილებებს და ზრდას განიცდის. ზრდის როცესში, დიფერენციაციის გზით, უფარგის ორგანონი თუ ნაწილი, რომლებიც ოდესმე მცენარის უფრო მარტივ სახეობისას, საქარონი იყენენ და დაკისრებულ ფუნქციას ასრულებდნენ. დროთა მსვლელობაში-ატროფიული ხდებიან.

ანალოგიის პოვნა შეიძლება მე-II-ე ინტერნაციონალშიც: ოდესღაც ეს საერთაშორისო ერთად ერთი მუშათა შტაბი იყო, რომელსაც დიადი ისტორიულ მისიის შესრულება შეეძლო, მაგრამ მისი სილიადე სამუდამოთ დაფრთხა სოც.-დემოკრატიის რეფორმიზმმა-და ზოგადათ, ნაციონალისტურმა შოეინიზმმა.

საერთაშორისო ომის პირველ დღესეც, ცხადი ვახდა, რომ ეს უძლიერესი ორგანიზაცია მორალურ ღირებულების მხრივ, —სოც.-დემოკრატიის შემწევობით სრულიათ აპატიური ვახდა, რომ საზღვარი დაედოთ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მადისათვის. შრომელთა ხარჯზე: მათი პასუხის მგებელი წევრები უპროტესტოთ მიემართებდნენ ომის ვვლზე. შედეგათ მივიღეთ ოდესმე კლასიკურ სოც.-დემოკრატიულ გერმანიაში უმაღლესი სახის ნაციონალისტური-პატრიოტიზმი.

„მედრები არ ცოცხლდებიან“, „კუზიანს სამარე ვაასწორებს“ აი ლოლიკა სინამდვილის. მაგრამ მართებულია „წყალ წაღებული ხაცს ეკიდებოდა“ და ფიქტიური მეორე ინტერნაციონალიც პტიჰრობს გამოფინილებას სალათას ძილიდან.

დასაღვთ ვეროპის „დიდ“ ამბებში, ფაშიზმისა და კომუნიზმის შეჯახებაში, ისიც ცდილობს ამოწირალოლ თვალებით ჩარევას, მაგრამ ყოველ გზა ჯვარედინზე სდგამს უტაქტო ნაბაჯებს.

მეორე ინტერნაციონალი უკვე თანამედროვე სინამდვილის ზედმეტი ხორცია, ის დამყაყებულ ჭაობს გვაგონებს; მე-III-ე ინტერნაციონალი კი, ჭაბუკს, რომელსაც გამბედაობაც აქვს და შორს გამჭვრეტობაც.

დასაღვთ ვეროპის შრომელნიც ჩქარის ტემპით ავსებენ მის რიგებს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ამის თავდებია თვითეულ შრომელის სოციალური ინსტიქტი.

3. დეოჟე.

**მუშა-მწერალი გიგო ხაჩუაშვილი**

(მისი 25 წ. სამწერლო მოღვაწეობის შესრულების გამო).

სრულიად საქართველოს მუშა-მწერალი ხალხი ამა 1923 წ. დეკემბრის 30-ს კვირა დილით 12 ს. თბილისის სახელმწიფო თეატრში გიგო ხაჩუაშვილს იუბილეს უმართავს.

ვინ არის გიგო ხაჩუაშვილი? ქართული უადგილო—უმამულო ღარიბი გლეხის შვილი, რომელიც დაიბადა გორის მაზრის სოფელ ახალქალაქში 1879 წ. სიღარიბეში აღზრდილი, მეტატონესთან ნამსახური, ნამოჯამიგირალი, დიღური ნამუშევარი, დღეს კი სტამბის მუშა, ასოთამწყობი. მაგრამ მართო ამისთვის არ უხდით იუბილეს.

გიგო მწრომელი ხალხის უმაღლესი გამოსული ხალხური მწერალია, სკოლის გარეშე—შინაურულად, აღზრდილ-განვითარებული, რომელიც სუნთქავდა ამ 25 წლის განმავლობაში სტამბის მომშახმელი ჰაერით, ხოლო შრომის გარდა საღამოობით ეწეოდა გონებრივ მუშაობას.

სწერდა სხვა და სხვა დარგის თხზულებებს—პოემებს, მოთხრობებს, ლექსებს, პიესებს, ზღაპრებს.

მისი ხალხური კილოთ ნაწერებით დამშვენებულია ბევრი ქართული ჟურნალ-გაზეთი, გამოცემული აქვს 32 სხვა და სხვა სათაურით საკუთარი თხზულებები.

მის ნაწერებს კიანხლობენ, სწავლობენ, მღერაინ, ადვენენ.

რას ვგასწავლის ხაჩუაშვილი?

„კეთილისათვის თავის დადებას, ძალმორეობის წინააღმდეგ ბრძოლას, უკუღმართობის გმობას“.

მისი ნაწერები თავს დასტრიალებს შრომელთა კერას, ხალხის ბედსა და უბედობას, გლეხისა და მუშის გამწარებულ დუხპირ ცხოვრებას.

მუშა მწერალი ყოველ თავის ნაწერში „ჩაგრულთ სანუეგვო“ აზრებს აქანდაკებს, მათ სულსა და გულს ესალმუნება.

ამიტომაც მადლიერი მუშა-მწრომელი ხალხი, ვისთვისაც გიგო მთელი 25 წლის განმავლობაში მუშურ კალამს ანუშავებდა, აფერებდა ჩანჭს, აი ეს ხალხი დღესასწაულს უხდის.

მუშა მწერლის ამ პირველი საჯარო დღესასწაულის გამართვა ითავებს თბილისის რკინ. გზის სტამბის მუშებმა და სრულიად საქართველოს ბეჭდვითი საქმის კავშირმა.

საუბილეო კომიტეტი.

**წერილი პროვინციოდან.**

ბონის რაიონი.

მას შემდეგ, რაც სრულიათ საქართველოს მენშევიკების ყრილობა მოხდა, დიდი ცვლილება და გარდატეხა მოხდა იმ მენშევიკების შორის, რომელნიც კონფერენციის გარეშე იდგნენ და მას მტრულად უყურებდნენ. თუ ისინი წინათ კონფერენციამდე მტრული თვლით უცქეროდნენ იმ მენშევიკებს, რომლებმაც გაბედეს და ხმა ამოიღეს ს. დემოკ-



რატული მენშევიკური პარტიის წინააღმდეგ; დღეს მდგომარეობა ამ მხრივ შეიცვალა. დღეს ისინიც შეუდგნენ პარტიის ტაქტიკის გადაფასებას. დღეს ისინი დიდი ხალხით ეტანებიან ჟურნალ „სიმართლის ხმას“, თუ წინათ კერძო სასაუბროდაც ვერ იპოვიდნენ და არ გვეკარებოდნენ, დღეს, პირიქით, მოდიან და გვესაუბრებიან საჭირ-ბოროტო კითხვებზე.

დღეს ყველასთვის ნათელი შეიქნა ს. დემოკრატიის ტაქტიკის გაკორტრება და ლალატი მუშათა კლასის წინაშე. ყველა მათგანი ეძებს ახალ გზას, მაგრამ სამწუხაროთ ჯერ-ჯერობით ისევე ყოყმანობენ, ფანტიკოსობას, ჯიუტობას და გაუხედაობას იჩენენ. დროა ყველამ შესწყვიტოს ჯიუტობა, ფანტიზმი, გაუხედაობა და სხვა ჩაუყვირდეს ღრმით ცხოვრებას, დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას და მივიდეს იქ, სადაც მუშები არიან. პირში და ლხინში მუშებთან უნდა იყოს მუშების პარტია.

დღეს მიუტყევებელი ცოდვა არის სოციალისტისათვის გულზე ხელების დაკრეფა და არაფრის კეთება. ეს უნდა შეიგნოს ყველამ.

**მ. გალდავაძე.**

# პ რ თ ნ ი კ ა

◆ **თფილისში** უკანასკნელ დღეებში გაერკვლდა ხმები, თითქოს ნ. ჟორდანიასაგან პასუხი მოსულიყოს ჩვენს მიმართვაზე, ეს არ არის მართალი. თუ პასუხს მივიღებთ, ის თავის დროზე იქნება გამოქვეყნებული.

◆ **ჩვენს** ჟურნალში დღეს იბეჭდება საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ბელად სეთ დედვარიაშვილის პირველი წერილი. შემდეგ ნომრებში დაიბეჭდება მისი სხვა წერილებიც.

◆ **დღეს** შესდგება ცეკას თეზისების გამტარებელი კომისიის გაფართოებულ სხდომა. წერებების დასწრება სავალდებულოა.

◆ **დღეს** თფილისში საოპერო თეატრში გაიმართება მუშა-მგოსან გიგო ხეჩუაშვილის 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე.

◆ **ამხანაგების საყურადღებოთ.** რედაქციას ბევრი შეკითხვები მოსდის 25-30 აგვისტოს ჩვენი ყრილობის ანგარიშების ბედის შესახებ. ყველას საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ყრილობის ანგარიშები უკვე იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა გასაყიდათ.

◆ **მ. ჯიბლაძის** ლექსის შენიშვნაში შეცდომით დაბეჭდილიყო: „ეს არის ავტორის მიერ მოგონება ს. ჯიბლაძის და მ. უნაკიას 1897-8 წლების მოღვაწეობისა, სხვა ყოველიყო: 1887, 1888 წ. წ. და სხვ.“

◆ **ქართული** თეატრის ოფიციალურ დღესასწაულად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გამოცხადებულია 2 იანვარი.

◆ **მთავრობის** დადგენილებით გაუქმდა სახალხო სასურსათო კომისარიატი, რომლის ლიკვიდაცია უნდა დასრულდეს ორი კვირის განმავლობაში.

◆ **გამოქვეყნდა** მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ შემუშავებული სატყეო კოდექსის პროექტი.

◆ **26 დეკემბერს** დიდის ზეიმით გაიხსნა ნატანბე-ოზურგეთის რკინის გზის მიმოსვლა. რკინის გზის მიმოსვლის გახსნას მრავალი ხალხი დაესწრო, იყვნენ თბილისიდან ჩასული სტუმრებიც. მიმოსვლის გახსნამ დღესასწაულის ხასიათი მიიღო.

◆ **გუშინ 29 დეკემბერს** მოხდა ქ. თფილისის და მისი მაზრის მეოთხე მოწვევის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა.

— — —

## სხვადასხვა ამბები

◆ **1924 წ. 1 თებერვლისათვის** მოწვეულია უკრაინის სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის სალიკვიდაციო ყრილობა.

◆ **ინგლისის** მთავრობამ ავღანისტანს გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელშიაც მოითხოვს საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის გაწყვეტას.

◆ **გერმანიის** კერძო წარმოებების მოსამსახურეთა ცენტრალურ კავშირის ყრილობის არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 2.800 ხმა, სოც. დემ. ოპოზიციამ 516, კომუნისტებმა 2.400 ხმა. ყრილობაზე სოც. დემოკრატებს ექნებათ 158 ხმა, კომუნისტებს 117 ხმა, ანუ ხმების 45%. წარსულ ყრილობაზე კი კომუნისტებს ჰქონდათ ხმების 15%.

◆ **ინგლისის** საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რამზეი მაკდონალდი პირველად გამოვიდა სიტყვით და სისარული გამოსტევა მუშათა კლასის გამარჯვების გამო არჩევნებში. მაკდონალდმა მოკლედ დაასახიათა თემთა პალატის პარტიები და განაცხადა, რომ ის დაიკაიებს პრემიერის ადგილს, თუ მას მიმართავენ შესაფერისი წინადადებით.

◆ **რეინლანდში** დაარსდა ახალი სეპარატისტული პარტია, რომელსაც განზრახვა აქვს მიმართოს ნაციონალიზმის თხოვნით რეინლანდის სრული დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ.

◆ **თავის** ჩვეულებრივ საკვირაო სიტყვაში პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა მანამ არ შეწყვეტს ოკუპაციას, ვიდრე გერმანია ვალებს არ გადახდის.

◆ **შტრესმანის პროტესტი.** შტრესმანმა საფრანგეთის წარმომადგენელს ბერლინში პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ საოკუპაციო ხელისუფლება პფალცის სეპარატისტებთან თანამშრომლობს.

## უცხოეთი და საბჭოთა კავშირი.

◆ **ამერიკის** სენატორებმა ბორამ, ჯონსონმა და ლაფოლტმა განაცხადეს, რომ ამერიკის დანავლეთის შტატები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

◆ **საფრანგეთში** ვაზ. „ტანი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის საჭიროა ეხლავე აღდგენილ იქნას ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა.

# „სიმართლის ხმა“

სიმართლის ხმა მსოფლიოში მინდა ისე ძლიერად ჰქუხდეს, მის მოსმენით სასტიკ მტარეაღს გული ისე შეუწყდეს, რომ დაადგეს საუკუნოთ მამის ჩემის გაეღიღს გზასა სამალავათ ხერხელ ეძებდეს ვერ აჩენდეს ვერსად თავსა. განთიადზე აღმოსავლით მზე რო ღრუბლებს წითლად შეყრავს ზნეულისა მოციქულთა გული თრთის და მწარეთ ელეავს. ის ციდანაც ელოდება საშინელსა ცეცხლის წვიმას. არსებისთვის მკაცრათ იბრძვის ფრთხილათ არის არა სძინავს. ყველა მხარეს სიმართლის ხმა მინდა ძლიერად სქუქდეს ჰქუხდეს, რომ მოისპოს ბოროტება უფსკრულსკენ ვადაქუხდეს.

**შაქრო ნათელაშვილი**

1923 წ.  
27 დეკემბერი.

◆ **ინგლისში** ლიბერალური პრესა განაგრძობს კამპანიას საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ. ლონდონის სავაჭრო-სამრეწველო წრეები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას.

◆ **ამჟ. ჩიჩერინმა** ამას წინეთ ნოტიო მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებს მოლაპარაკების გამართვის წინადადებით.

◆ **ამ დღეებში** საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი დასმული იყო ამერიკის შეერთებულ შტატების მინისტრთა საბჭოში, სადაც უშირავლესობა ამ ცნობის შესახებ დაუყოვნებლივ მოლაპარაკების მოწინააღმდეგე აღმოჩნდა. როცა სენატში დაისვა ეს საკითხი, ამერიკის სავაჭრო საქმეთა მინისტრმა იუზმა ვაილშექ-ამის წინააღმდეგ და გამოაქვეყნა ყალბი საბუთები, ვითომდა კომინტერნი მოუწოდებდეს ამერიკის მუშათა პარტიას ამერიკის მთავრობის დამხობისაკენ. ჩიჩერინმა ამის გამო ნოტა გაუგზავნა ამერიკის მთავრობას და იუზი გამოიწვია სამედიატორო სასამართლოში, მაგრამ იუზმა უარი განაცხადა ჩიჩერინის წინადადებაზე სპეციალური კომისიის დაარსების შესახებ იუზის მიერ გამოქვეყნებულ ცნობების სისწორის გამოსარკვევად.

◆ **ამერიკაში** იუზის პროვოკაცია დამარცხდა. საზოგადოებრივი წრეები და პრესა აცხადებენ, რომ იუზის „საბუთები“ ყალბი არის. ამერიკის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განაოქვეყნა განცხადება, რომელშიაც აცხადებს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობები სიმართლეს არ შეეფერება. ცენტრ კომიტეტი მოუწოდებს პროვოკაციულ სენატორებს განაგრძონ ბრძოლა საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

◆ **ოლენაში** ჩავიდა რუმინეთის დელეგაცია. უკვე დაიწყო საბჭოთა კავშირის და რუმინეთის დელეგატების კონფერენცია.



# პვირიან-პვირავლი

წარსულ კვირას პოლიტიკურ სვერიაში ყურადღებას იპყრობდა უმთავრესად საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხი, ანუ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი.

ეს საკითხი უკანასკნელ ხანებში მეტად აქტუალური გახდა და ინგლის-ამერიკის პოლიტიკის დღის წესრიგში დაიხსია. ამ ჟამად ყველა ფიქრობს საბჭოთა კავშირთან საერთო ურთიერთობის გაუმჯობესებაზე და მასთან ამა თუ იმ სახით დაკავშირებაზე.

ეს მოვლენა უძველესად დიდი განმარჯვებულ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ პოზიციონირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოები ჯერ კიდევ ყოყმანობენ, ბოროტობენ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, ამ კითხვის ასე გადაჭრულობას უსათუოდ გადაწყვეტილი მნიშვნელობა აქვს და საბჭოთა კავშირის ცნობის დრო კარგდება მომდგარი.

ინგლისში ამ ცნობის მოწინააღმდეგეთ გამოდის მხოლოდ კონსერვატიული პარტია, რომელსაც არჩევნებში დამარცხების შემდეგ პოლიტიკური სიმჩატე ახსიათებს. აი რას სწერენ და ლაპარაკობენ ინგლისში საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

„დიდი ტელეგრაფი“ სწერს, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხში მთავარი სიძველე დემოკრატიზმის იმისა, რომ ბრიტანეთის ქვეშევრდომები რუსეთში ყოველ წუთში უნდა მოვლოდნენ უსამართლო რეპრესიების მთავრობის მხრივ მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთის ქვეშევრდომნი ინგლისში სარგებლობენ პიროვნების და საკუთრების სრული თავისუფლებით. გაზეთი სწერს, რომ საბჭოთა რუსეთში არ მოიპოვება სათანადო სამოსამართლო ინსტანციები, რომლებსადმიც შეეძლოს მიმართვა ბრიტანელ მოქალაქეს. გაზეთის აზრით, არ შეიძლება საბჭოთა რუსეთის ცნობა, სანამ არ იქნება დაცული ინგლისელ მოქალაქეების პიროვნების და საკუთრების თავისუფლება რუსეთის ტერიტორიაზე.

თავის მოსაზრებათა დასაბუთებლათ, გაზეთი მიმართავს მაკდონალდს შენიშვნით, რომ „რაპალოს ხელშეკრულებამ ხელი არ შეუშალა მოსკოვის მთავრობას დახმარება გაეწია ბერლინში მომხდარ არეულობისათვის“. შემდეგ გაზეთი ემაჯობა იუზის ცნობილ „გამომქლავებებს“ და აცხადებს, რომ ინგლისი იცნობს რუსეთის მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი ანგარიშს გაუწევს საერთაშორისო ურთიერთობათა ჩვეულებრივ ნორმებს და უარს იტყვის სხვა ქვეყნებში რევოლუციისათვის ფინანსიურ დახმარებაზე.

\*\*\*

ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამაც დასვა ეს საკითხი თავის დღის წესრიგში, მაგრამ მინისტრთა საბჭოს უპირველესობამ ჯერ-ჯერობით უარი სთქვა მოლაპარაკების დაწყებაზე; წინააღმდეგია იუზი, საგარეო საქმეთა მინისტრი. ის ყალბ საბუთებს აქვეყნებს რუსეთის შესახებ, მაგრამ საბჭოთა კავშირის ცნობისათვის კამპანია ამერიკაშიაც

თანდათან ძლიერდება და იუზიც უნდა მოტყდეს. მოტყდება კიდევ.

ყველაზე საინტერესოა საფრანგეთის აზრი საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხზე. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან ყველაზე უფრო მტრულად და შეურიგებლად საფრანგეთი გვიყურებდა. ამიტომ საკვირველია, როცა მთავრობის ხაზის გამოხატველი გაზეთი „ტანი“ სწერს: „საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის ინტერესები ერთი მეორეს უდგება, ამიტომ საჭიროა ჩვენ შორის აღდგენილ იქნას წესიერი საურთიერთობის და მოკიდებულება“.

წარსულ კვირას აგრეთვე ადგილი ჰქონდა ინგლისის და ავლანისტანის შორის კონფლიქტს.

ინგლისმა ავლანისტანს ულტიმატუმი გაუგზავნა საბჭოთა კავშირთან გასწყვიტე მეგობრული ურთიერთობაო. გუშინწინდელმა დღეებშიმა გვიმცნეს, რომ ინგლისის მოქალაქეები სტოვებენ ავლანისტანს და თითქოს სახმედრო მოქმედებაც დაწყებულ იყოს. ჩვენ არ ვიცით რამდენათ მართალია ეს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მომავლადე ინგლისის კონსერვატიული მთავრობა შემოდგომის ბუზივით იკბინება. მისი აღსასრულის დრო მოახლოვებულია. არც ისე შორსაა 8 იანვარი...

წარსულ კვირას ჩვენში, საქართველოში ადგილი ჰქონდა ორ საყურადღებო მოვლენას: საქართველოს სოც.დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთი ბელადის სეით დევიდარიანის წერილების გამოქვეყნებას გაზეთებში და ოზურგეთის რკინის გზის გახსნას.

ს. დევიდარიანმა მეტად სასიხარულო საჩუქარი უძღვნა საქართველოს მუშათა კლასს საახალწლოდ თავისი წერილების სახით. მან ყველას გასაგონად განაცხადა, რომ დღევანდელ სინამდვილეში ფორმულა „დემოკრატიზმით—სოციალიზმისაკენ“ რეაქციონური შინაარსით აღივსება და მოუწოდებს პარტიას მმართველ პარტიასთან თანამშრომლობისაკენ, არსებულ ხელისუფლების არა დამხობის, არამედ განმტკიცება-გაუმჯობესებისაკენ. მრავალი საყურადღებო დებულებები და აზრები ახვ. სეითის წერილში. წაიკითხეთ და დარწმუნდებით.

წარსულ კვირას განხორციელდა გურიის ხალხის დიდი ხნის ოცნება: გაიხსნა ოზურგეთის რკინის გზა. ესეც კარგი საახალწლო საჩუქარია გურიის ხალხისათვის კერძო და საქართველოს მცხოვრებთათვის საერთოდ.

## წერილები რედაქციის მიმართ.

აზხ. რედაქტორო!  
გთხოვთ მოათავსოთ ჩემი გულწრფელი განცხადება თქვენს ჟურნალ „სიმართლის ხმა“-ს ახლო ნომერში. მე ვირიცხებოდი ს.დ. მ. პ. წევრად 1918 წლიდან, ხოლო დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა მე არც ერთ პარტიასთან არ მქონია კავშირი. დღეს კი სავსებით ვიზიარებ ყოფილ მენშევიკების ყრილობის

დადგენილებას, უარყოფ ძველ გზას და მხათა ვარ დღიდან გულწრფელად ვემსახურო და ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

ბ. ნებიერიძე.

მე ვიზიარებდი ს.დ. მ. წევრად 1914 წლიდან საქართველოში მენშევიკების პარტიონის დროს ემუშაობდი პროვინციაში სხვადასხვა ორგანიზაციებში. დღეს შევადარე კომპარტიის მუშაობა მენშევიკების მუშაობასთან და მივიღე იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა ხელისუფლება აეთებს არა ბურჟუა-კაპიტალისტების საქმეს, არამედ ის სდგას კლასიურ ნიდაგზე და იცავს მუშების ნამდვილ ინტერესებს. მე, როგორც მუშა, თავს ვანებებ ს.დ. მ. პ. მენშევიკებს და მთელი ჩემი ძალაონით და ენერჯით დავეხმარები იმ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას, რომელიც მიიღო ყოველ მენშევიკების ყრილობამ 30 აგვისტოს. საუბედუროდ ჩემი ავადმყოფობის გამო ვერ მივიღე მონაწილეობა ამ ყრილობაზე.

მ. როსენაშვილი.

25 სექტემბერს ჩემ მიერ გამოგზავნილ იქნა განცხადება იმის შესახებ, რომ მე თავს ვანებებდი მენშევიკურ პარტიას და ვლენდობოდი რა სავსებით საბჭოთა სისტემას, ვერთდებოდი სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის (მენშევიკების) ყრილობის დადგენილებებს, მაგრამ ეს განცხადება დღემდე არ იქნა დაბეჭდილი. ამიტომ გთხოვთ ეს ჩემი გადაწყვეტილება გამოაცხადოთ თქვენს ორგანო „სიმართლის ხმაში“.

გიორგი კონსტანტინეს ძე შავია, პარტიის წევრი 1902 წლიდან.

მე ვიყავი ს.დემ. მ. პარტიის წევრად 1919 წლიდან. 1923 წ. 10 სექტემბრიდან მე დავტოვე მენშევიკური პარტია. დღიდან სრული ჩემი შეგნებით უერთდები საქ. სოც. დემ. მ. პარტიის 25—30 აგვისტოს ყრილობის დადგენილებებს და ყოველივე ძალ-ლონეს ვისმარებ იმ დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

ივანე პირკულაშვილი.

1916 წლიდან ვირიცხებოდი ს. დ. მ. პარტიაში, დღეს კი გამოვიდარ ამ პარტიიდან და უერთდები სრულიად საქ. ს.დ. მ. პარტიის მენშევიკების ყრილობის დადგენილებებს. ვეცდები მუშათა მთავრობას ხელი შეუწყო, რამდენათ ეს შეიძლება.

დ. კოპალეიშვილი.

|                     |               |
|---------------------|---------------|
| სარედაქციო კოლეგია: | ა. ფარნიევი.  |
|                     | ა. რუხაძე.    |
|                     | კ. თოფაძე.    |
|                     | კ. შენგელია.  |
|                     | გ. ვარდოიანი. |